

18/03/2026



MES 8 26 0000328147

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის
საბჭოს სხდომის ოქმი**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა – Zoom-ის გამოყენებით **2026 წლის 4 მარტს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=88954847919>

Meeting ID: 223 495 9888

Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:

ელენე კაკაბაძე – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს თავმჯდომარე);

ხათუნა ჩხარტიშვილი – სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

ნათია ბუთხუზი – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი (საბჭოს მდივანი);

გიორგი ვეკუა – სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);

ანა არაშიძე – სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი (საბჭოს წევრი);

ეკატერინე გიგაშვილი – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);

გოგიტა მშვენიერაძე – ა(ა)იპ – სამშენებლო კოლეჯ „კონტრუქტ2“-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი (საბჭოს წევრი)

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში –ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ქეთევან ჭუჭულაშვილი – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ლელა კიკნაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

ნათია მჭედლიძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მაყვალა დარსანია – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ნინო ხელაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მაია აბდალაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

ვერიკო ჭილაძე
ზურაბ მესხიძე
ლელა მაისურაძე
ალინა კუპრავა
ინგა კალანდაძე
ირმა მეგრელიძე
თაბუკა ციმინტია
ვერიკო ჭილაძე
ხათუნა ბაკურაძე
დემიდ ფასიეშვილი
ვალერი ჯაჯანიძე
თამარ ჯანგულაშვილი
ნინო გზირიშვილი
ნანა შათირიშვილი
ხათუნა ჩომახიძე
ირმა ღარიბაშვილი
მაია გრიგალაშვილი
მაგული მეზონია
მაია ხურცილავა
ტიტე ბოლქვაძე
აკაკი გურგენიძე

დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს თენექსი

დირექტორი - ნიცა მდივანი

ხარისხის მენეჯერი - ნინო გოგმაჩაძე

პროგრამების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი - ნუკრი ტუსიშვილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “გრაფიკული დიზაინი” ხელმძღვანელი - ავთანდილ მღებრიშვილი

შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯი

დირექტორი - გარი ჩაფიძე

სსიპ კოლეჯი ფაზისი

კოლეჯის დირექტორი - ნინო ბაკურაძე

საბჭოს სხდომის დაწყების დრო – 12:00 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განაცხადა, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. შპს "თენექსისთვის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "Front-end დეველოპმენტი" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს "თენექსისთვის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "გრაფიკული დიზაინი" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ;
3. შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "აღმზრდელი" დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ კოლეჯი ფაზისის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს არ ჰქონდა შუამდგომლობა.

პირველი საკითხი: შპს "თენექსისთვის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "Front-end დეველოპმენტი" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

მეორე საკითხი: შპს "თენექსისთვის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "გრაფიკული დიზაინი" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ;

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაც ილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაღილეზა

- დიახ

საბჭოს თავმჯდომარეს, ელენე კაკაბაძეს, ჰქონდა თვითაღილეზა შპს "თენექსის" განსახილეველ საკითხებთან დაკავშირებით, ვინაიდან წარმოადგენდა დაინტერესებულ მხარეს. აღნიშნულის თაობაზე მან განაცხადა სხდომის დღის წესრიგის გაცნობისთანავე

სხდომის თავმჯდომარედ განისაზღვრა საბჭოს თვმჯდომარის მოადგილე ხათუნა ჩხარტიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ, ხათუნა ჩხარტიშვილმა, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილეველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ვერიკო ჭილაძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილევიტ.

II. ვიზიტის საერთო მიმოხილევა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება შპს „თენექსში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "Front-end დეველოპმენტის" და "გრაფიკული დიზაინის" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადებისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის - პროგრამების სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ), კომპონენტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა გამოგზავნილი განაცხადები, თანდართული დოკუმენტაციით.

დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ფორმად განსაზღვრული აქვს ნაწილობრივ დისტანციური სწავლება, რომელიც რეგულირდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 19 ნოემბრის No131/ნ ბრძანებით („პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის კომპონენტების დისტანციურად განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 30 აგვისტოს No143/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ), რომლის მე-3 მუხლის, მე-10 პუნქტის შესაბამისად, „პროგრამის დისტანციურად ან ნაწილობრივ დისტანციურად განხორციელების მიზნით

დაწესებულება განსაზღვრავს დისტანციური სწავლების განხორციელების პროცესის ეტაპებს, პროცესში ჩართულ პირთა მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს, ასევე, დისტანციური სწავლებისა და შეფასების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმებს“. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოების მიზნები გაფართოვდა.

ვიზიტი განხორციელდა ბრძანებების შესაბამისად შპს „თენექსში“ 2026 წლის 2 თებერვალს (მის: ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი №38). ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა და გაესაუბრა დაწესებულების დირექტორს, ადმინისტრაციას, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებს და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. ვიზიტის დროს დათვალიერებული იქნა სასწავლო გარემოები, ბიბლიოთეკა და მატერიალური რესურსები. შემოწმდა პროგრამის დისტანციურად განხორციელების შესაძლებლობები. შესაბამისი ინფორმაცია დეტალურად არის წარმოდგენილი დასკვნაში.

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება **ხარვეზი არ გამოვლენილა**

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება **სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა**

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება **განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - Front-end დეველოპმენტი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end დეველოპმენტის“ განხორციელება ეფუძნება შრომის ბაზრის კვლევას, რომლის თანახმად:

- ბაზრის მოთხოვნა: შპს „თენექსის“ მიერ 2024 წლის ნოემბერში ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევა, რომელშიც 103-მა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა, ადასტურებს, რომ Front-end დეველოპერი ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი და ამავედროულად რთულად მოსაძიებელი პოზიცია არის.
- კადრების დეფიციტი: გამოკითხული კომპანიების 89.4%-ს ჰყავს პროგრამისტთა გუნდი, თუმცა დამსაქმებელთა 13.4% მიუთითებს Front-end დეველოპერების მოძიების სირთულეზე, რაც მეტწილად გამოწვეულია აპლიკანტების დაბალი კვალიფიკაციით (53.8%).
- ანაზღაურება და პერსპექტივა: Front-end დეველოპმენტი იდენტიფიცირებულია, როგორც მაღალანაზღაურებადი სფერო, სადაც სპეციალისტის საშუალო ხელფასი 2,900 ლარია, ხოლო გუნდის უფროსის - 3,900 ლარი.
- საერთაშორისო მოთხოვნა და დისტანციური დასაქმება: შრომის ბაზრის კვლევაში ხაზგასმულია, რომ პროგრამირება არის სფერო, რომელიც არ შემოიფარგლება ლოკალური ბაზრით. საერთაშორისო სტატისტიკით (მაგალითად, U.S. Bureau of Labor Statistics), ვებ-დეველოპერებზე მოთხოვნა 2032 წლამდე 16%-ით გაიზრდება, რაც ბევრად აღემატება სხვა პროფესიების ზრდის ტემპს. შპს „თენექსი“ ითვალისწინებს ამ ტენდენციას და მიზნად ისახავს კადრების მომზადებას, რომლებიც კონკურენტუნარიანები იქნებიან საერთაშორისო აუთსორსინგ ბაზარზეც. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „Front-end დეველოპმენტის“ პირდაპირ თანხვედრაშია შპს „თენექსის“ მისიასა და ღირებულებებთან:

- ტექნოლოგიური ფოკუსი: დაწესებულების მისიაა შექმნას თანამედროვე სასწავლო სივრცე, სადაც ციფრული ტექნოლოგიები ინტეგრირებულია საგანმანათლებლო პროცესში. პროგრამა ორიენტირებულია სწორედ ციფრული ტრანსფორმაციის გამოწვევებზე საპასუხოდ კვალიფიციური კადრების მომზადებაზე.
- ცოდნის გაზიარება: დაწესებულების ერთ-ერთი მთავარი ღირებულებაა ცოდნის მუდმივი განახლება და მისი საჯაროდ გაზიარება. პროგრამა ითვალისწინებს დარგის გამოცდილი სპეციალისტების ჩართულობას, რომლებიც სტუდენტებს უახლეს ტექნოლოგიურ მიღწევებს აზიარებენ.
- სიცოცხლის მანძილზე სწავლა: პროგრამა პასუხობს კომპანიის ხედვას, შესთავაზოს საზოგადოებას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისი კარიერული განვითარების სერვისები და შექმნას ხარისხიანი სასწავლო გარემო, სადაც პრიორიტეტული სტუდენტის ინტერესებია. პროგრამის დანერგვა გათვალისწინებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიან და მოკლევადიან დოკუმენტებში:
- სტრატეგიული გეგმა (2025-2032): შვიდწლიანი გეგმის მიზანია რეგიონში თანამედროვე სწავლა-სწავლების სივრცის განვითარება და შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროგრამების დანერგვა. Front-end დეველოპმენტი განიხილება, როგორც ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება რეგიონში საუკეთესო პროგრამების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.
- სამოქმედო გეგმა (2026): 2026 წლის გეგმის 1.1 ამოცანა პირდაპირ ითვალისწინებს შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროგრამების/კურსების დანერგვას. გეგმაში დეტალურად არის გაწერილი აქტივობები: ბაზრის კვლევა (1.1.1), პროგრამის კონცეფციის შემუშავება (1.1.2) და უშუალოდ პროგრამის დანერგვა (1.1.3). გეგმა ასევე მოიცავს ელექტრონული სასწავლო რესურსების შექმნას (1.2.3) და მათ საჯარო ხელმისაწვდომობას, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას და შესაბამისობას თანამედროვე ციფრულ სტანდარტებთან წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, პროგრამის განხორციელება სრულად მიზანშეწონილია, რამდენადაც იგი ეფუძნება რეალურ საბაზრო მოთხოვნას, პირდაპირ გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან და სრულ თანხვედრაშია მის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებთან.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end დეველოპმენტი“ განხორციელება დაგეგმილია ნაწილობრივ დისტანციური სწავლების ფორმით იმიტირებულ სამუშაო გარემოში. სწავლება პირისპირ ფორმით განხორციელდება ქ. ბათუმში, თამარ მეფის გამზირი №38-ში, ხოლო დისტანციური სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია ციფრულ სასწავლო ეკოსისტემაში. მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არის 500, წელიწადში 2 მიღებაზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით ადგილზე (ნაწილობრივ) განხორციელდება მხოლოდ 2 მოდული: „მეწარმეობა“ და „პიროვნული უნარები და ინტერპერსონალური კომუნიკაციები“. ამისათვის დაწესებულებას გამოყოფილი აქვს A გარემო - 5 ჯამში 121 პროფესიული სტუდენტისთვის, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი რაოდენობის პროფესიული სტუდენტის მაგიდითა და სკამით, მასწავლებლის ერთი მაგიდით და სკამით, კომპიუტერთ, დაფით და სადემონსტრაციო საშუალებით. აღნიშნული აუდიტორიები გამოიყენება მეორე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გრაფიკული დიზაინი“ მოდულის „მეწარმეობა“ ნაწილობრივ პირისპირ განხორციელებისთვის. სწავლება დაგეგმილია ცვლებში შეჭრილი ცხრილით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოკვლეული იქნა აუდიტორიების გამტარუნარიანობა და დადგინდა, რომ აღნიშნული რესურსი უზრუნველყოფს ორივე პროგრამაზე მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით აღნიშნული სამი მოდულის სწავლის შედეგების მიღწევას.

დისტანციური სწავლების ფორმით განხორციელებისთვის დაწესებულებას შექმნილი აქვს სწავლების ციფრული ეკოსისტემა. სასწავლო პროცესის ცენტრალურ პლატფორმას

წარმოადგენს Discord-ზე დაფუძნებული სასწავლო სივრცე, რომელიც მრავალ სერვისთანაა დაკავშირებული მათ შორის Github, Github classroom, google classroom, LMS სისტემასთან, მონაცემთა ბაზასთან და დაწესებულების ბოტთან. იგი გამოიყენება როგორც ძირითადი საკომუნიკაციო და ორგანიზაციული გარემო. პლატფორმას შეუძლია გაატაროს ერთდროულად 160 000 ადამიანის მომსახურება, ამ ეტაპზე პლატფორმაზე ფიქსირდება 1200 აქტიური მომხმარებელი.

პლატფორმის ფუნქციონალი სტრატეგიულად არის განაწილებული შემდეგი მიმართულებებით:

- სინქრონული სწავლება: ონლაინ ლექციებისა და სამენტორო სესიების ცოცხალი ინტერაქციის რეჟიმში წარმართვა;
- სტრუქტურირებული კომუნიკაცია: თემატური ტექსტური და ხმოვანი არხების მეშვეობით სტუდენტებსა და მასწავლებლებს შორის მუდმივ კავშირის შენარჩუნება;
- ადმინისტრაციული მართვა: განრიგის, განცხადებებისა და სასწავლო მასალების ოპერატიული გავრცელება, რაც უზრუნველყოფს ჯგუფური მუშაობის ეფექტიან კოორდინაციას. დაწესებულება იყენებს დარგობრივად სპეციალიზებულ პლატფორმებს, რომლებიც სრულად არის ინტეგრირებული ერთიან ციფრულ სივრცეში:
- GitHub Classroom: Front-end დეველოპმენტის პროგრამის ფარგლებში ეს ინსტრუმენტი უზრუნველყოფს კოდის ვერსიების კონტროლს, ინდივიდუალური და ჯგუფური დავალებების ჩაბარებას, ასევე კოდ-რევიუს (Code-Review) პროცესის წარმართვას.
- ეკოსისტემის სინქრონიზაცია: Discord-ის ინტეგრაცია GitHub Classroom-თან და Google Classroom-თან ქმნის ერთიან სამუშაო გარემოს. ეს ამცირებს პლატფორმებს შორის დივერსიფიკაციას, უზრუნველყოფს დავალებების სტატუსის მუდმივ კონტროლს და ზრდის სასწავლო პროცესის გამჭვირვალობას. ციფრულ სასწავლო ეკოსისტემაში რესურსებზე წვდომას განსაზღვრავს მინიჭებული როლები, რომელიც თავის თავში მოიაზრებს პლატფორმიოს გამოყენებას მისი ფუნქციიდან გამომდინარე. გაწერილი როლები გულისხმობს შემდეგს: Prime Troubleshooter - სერვერის ადმინი; NuclearScripter - სერვერის ბოტი; Elder - ადმინისტრაციული გუნდი, პროგრამის კოორდინატორები, კარიერის გუნდი, ხარისხის კონტროლი; Mentor - ამ როლში ერთიანდება 10X -ის ყველა ლექტორი და მენტორი; Assistant - სტუდენტს შეუძლია გახდეს ასისტენტი. ამ როლზე კურსის დაწყებიდან ორი თვის შემდეგ; Alumni - წარმატებული კურსდამთავრებულები, რომელთაც ეძლევათ კარიერული შესაძლებლობები და ახალი ნეთვორქინგის არხები შესაბამისი კონტენტით; სასწავლო პროგრამის რელაციური როლები. როლები სტუდენტს ენიჭება იმ პროგრამის მიხედვით რომელზეც ჩაირიცხა და სწავლობს: Developer, Designer, Manager, Advertiser; Wanderer - სასწავლო სივრცის უსაფრთხოებისა და Discord raid-ების თავიდან აცილების მიზნით everyone როლს თითქმის არაფერზე არ აქვს დაშვება. ვანდერერის როლში ხვდება ყველა “უცხო” რომლის იდენტიფიცირებას ხდება შემოსვლიდან ერთი თვის განმავლობაში. ასევე ვანდერერის როლში ხვდება ყველა სტუდენტი ვინც ვერ ასრულებს კურსს. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულებაში დანერგულია მონიტორინგის უნიკალური მექანიზმი - Python-ის ბაზაზე შექმნილი ბოტი („Big Brother“). აღნიშნული ინსტრუმენტი 24/7 რეჟიმში ახორციელებს:
- სტუდენტთა დასწრებისა და სესიებში გატარებული დროის ავტომატურ აღრიცხვას;
- აქტივობისა და ჯგუფურ სამუშაოებში ჩართულობის დინამიკურ ანალიზს;
- დავალებების შესრულების გრაფიკის კონტროლს. მოგროვებული მონაცემები ინტეგრირებულია შიდა ბაზასთან, რაც იძლევა სასწავლო პროცესის მუდმივი ოპტიმიზაციისა და ობიექტური შეფასების საშუალებას. გამოყენებული პლატფორმების ერთობლიობა იძლევა პროგნოზს, რომ:

- პროფესიულ სტუდენტებს აქვთ თანაბარი და უწყვეტი წვდომა ყველა სასწავლო რესურსზე;
- სრულად არის დაცული ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის საერთაშორისო მოთხოვნები;
- შეფასების თითოეული ეტაპი დოკუმენტირებულია, რაც უზრუნველყოფს უკუკავშირის დროულობასა და ვალიდურობას.

ზემოაღნიშნული ელექტრონული პლატფორმების სინთეზი ქმნის ფუნქციურად მდიდარ სასწავლო გარემოს, რომელიც მზად არის მოთხოვნილი კვოტის მისაღებად. ტექნოლოგიური აღჭურვილობისა და მონიტორინგის სისტემის არსებობა იძლევა მყარ საფუძველს იმისათვის, რომ პროგრამა განხორციელდეს მაღალი პროფესიული სტანდარტების დაცვით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა მატერიალური რესურსების ფლობის დოკუმენტაცია და მომსახურების მიღების გადახდის ქვითრები. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - გრაფიკული დიზაინი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “გრაფიკული დიზაინი” განხორციელების გადაწყვეტილება ეფუძნება შრომის ბაზრის კვლევას (2025 წ.) რომელიც ადასტურებს გრაფიკული დიზაინისა და კრეატიული ინდუსტრიის სფეროს მზარდ დინამიკას საქართველოში. კვლევამ გამოკვეთა, როდესაც ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში ბაზარზე არსებობს სტაბილური მოთხოვნა კვალიფიციურ დიზაინერებზე სხვადასხვა სექტორში - დაწყებულ სარეკლამო სააგენტოებიდან, დამთავრებული მსხვილი საფინანსო ინსტიტუტებით:

- ბაზრის მოთხოვნა: ვაკანსიების პორტალების (LinkedIn, hr.ge, jobs.ge) ანალიზი აჩვენებს გრაფიკული დიზაინერის პოზიციების მუდმივ აქტივობას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.
- ტექნოლოგიური აქტუალობა: გამოკვეთილია თანამედროვე ხელსაწყოების (მაგ. Figma, Adobe-ის პაკეტი) და UI/UX პრინციპების ცოდნის კრიტიკული აუცილებლობა, რაც პროგრამის კონცეფციის საფუძველია.
- პროგრამის შესაბამისობა: კვლევის შედეგები პირდაპირ იქნა გამოყენებული სასწავლო კურსების აქტუალიზაციისთვის, რათ კურსდამთავრებულთა კომპეტენციები სრულად პასუხობდეს დამსაქმებელთა მოლოდინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ „გრაფიკული დიზაინი“ თანხვედრაშია შპს „თენექსის“ მისიასა და ღირებულებებთან:
- ტექნოლოგიური ფოკუსი: დაწესებულების მისიაა შექმნას თანამედროვე სასწავლო სივრცე, სადაც ციფრული ტექნოლოგიები ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროცესში. პროგრამა ორიენტირებულია სწორედ ციფრული ტრანსფორმაციის გამოწვევებზე საპასუხოდ კვალიფიციურ კადრების მომზადებაზე.
- ცოდნის გაზიარება: დაწესებულების ერთ-ერთი მთავარი ღირებულებაა ცოდნის მუდმივი განახლება და მისი საჯაროდ გაზიარება. პროგრამ ითვალისწინებს დარგის გამოცდილი სპეციალისტების ჩართულობას, რომლებიც სტუდენტებს უახლეს ტექნოლოგიურ მიღწევებს აზიარებენ.
- სიცოცხლის მანძილზე სწავლა: პროგრამა პასუხობს კომპანიის ხედვას, შესთავაზოს საზოგადოებას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისი კარიერული განვითარების სერვისები და შექმნას ხარისხიანი სასწავლო გარემო, სადაც პრიორიტეტული სტუდენტის ინტერესებია პროგრამის დანერგვა გათვალისწინებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიან და მოკლევადიან დოკუმენტებში:

- სტრატეგიული გეგმა (2025-2032): შვიდწლიანი გეგმის მიზანია რეგიონში თანამედროვე სწავლება-სწავლის სივრცის განვითარება და შრომის ბაზარზე მოთხოვნი პროგრამების დანერგვა. გრაფიკული დიზაინი განიხილება, როგორც ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება რეგიონში.
- სამოქმედო გეგმა (2026): 2026 წლის გეგმის 1.1 ამოცანა პირდაპირ ითვალისწინებს შრომის ბაზარზე მოთხოვნი პროგრამების/კურსების დანერგვას. გეგმაში დეტალურად არის გაწერილი აქტივობები: ბაზრის კვლევა (1.1.1), პროგრამის კონცეფციის შემუშავება (1.1.2) და უშუალოდ პროგრამის დანერგვა (1.1.3). გეგმა ასევე მოიცავს ელექტრონული სასწავლო რესურსების შექმნას (1.2.3) და მათ საჯარო ხელმისაწვდომობას, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას და შესაბამისობას თანამედროვე ციფრულ სტანდარტებთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, პროგრამის განხორციელება სრულად მიზანშეწონილია, რამდენადაც იგი ეფუძნება რეალურ საბაზრო მოთხოვნას, პირდაპირ გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან და სრულ თანხვედრაშია მის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებთან. ექსპერტთა ჯგუფის მიერ 2.1.1.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გრაფიკული დიზაინი“ განხორციელება დაგეგმილია ნაწილობრივ დისტანციური სწავლების ფორმით იმიტირებულ სამუშაო გარემოში. სწავლება პირისპირ ფორმით განხორციელდება ქ. ბათუმში, თამარ მეფის გამზირი №38-ში, ხოლო დისტანციური სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია ციფრულ სასწავლო ეკოსისტემაში. მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არის 700, წელიწადში 2 მიღებაზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით ადგილზე (ნაწილობრივ) განხორციელდება მხოლოდ მოდული: „მეწარმეობა“. ამისათვის დაწესებულებას გამოყოფილი აქვს A გარემო - 5 ჯამში 121 პროფესიული სტუდენტისთვის, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი რაოდენობის პროფესიული სტუდენტის მაგიდითა და სკამით, მასწავლებლის ერთი მაგიდით და სკამით, კომპიუტერით, დაფით და სადემონსტრაციო საშუალებით. აღნიშნული აუდიტორიები გამოიყენება მეორე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end დეველოპმენტი“ 2 მოდულის ნაწილობრივ პირისპირ განხორციელებისთვის. სწავლება დაგეგმილია ცვლებში შეჭრილი ცხრილით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოკვლეული იქნა აუდიტორიების გამტარუნარიანობა და დადგინდა, რომ აღნიშნული რესურსი უზრუნველყოფს ორივე პროგრამაზე მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით აღნიშნული სამი მოდულის სწავლის შედეგების მიღწევას. B სასწავლო გარემოში (160 პროფესიული სტუდენტისთვის) კომპიუტერების ტექნიკური მონაცემები აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებულ პარამეტრებს, რაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გრაფიკული დიზაინის“ განხორციელებას თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

დისტანციური სწავლების ფორმით განხორციელებისთვის დაწესებულებას შექმნილი აქვს სწავლების ციფრული ეკოსისტემა. სასწავლო პროცესის ცენტრალურ პლატფორმას წარმოადგენს Discord-ზე დაფუძნებული სასწავლო სივრცე, რომელიც მრავალ სერვისთანაა დაკავშირებული მათ შორის google classroom, LMS სისტემასთან, მონაცემთა ბაზასთან და დაწესებულების ბოტთან. იგი გამოიყენება როგორც ძირითადი საკომუნიკაციო და ორგანიზაციული გარემო. პლატფორმას შეუძლია გაატაროს ერთდროულად 160 000 ადამიანის მომსახურება, ამ ეტაპზე პლატფორმაზე ფიქსირდება 1200 აქტიური მომხმარებელი.

პლატფორმის ფუნქციონალი სტრატეგიულად არის განაწილებული შემდეგი მიმართულებებით:

- სინქრონული სწავლება: ონლაინ ლექციებისა და სამენტორო სესიების ცოცხალი ინტერაქციის რეჟიმში წარმართვა;
- სტრუქტურირებული კომუნიკაცია: თემატური ტექსტური და ხმოვანი არხების მეშვეობით სტუდენტებსა და მასწავლებლებს შორის მუდმივი კავშირის შენარჩუნება;
- ადმინისტრაციული მართვა: განრიგის, განცხადებებისა და სასწავლო მასალების ოპერატიული გავრცელება, რაც უზრუნველყოფს ჯგუფური მუშაობის ეფექტიან კოორდინაციას.

დაწესებულება იყენებს დარგობრივად სპეციალიზებულ პლატფორმებს, რომლებიც სრულად არის ინტეგრირებული ერთიან ციფრულ სივრცეში. Discord- ის ინტეგრაცია Google Classroom-თან ქმნის ერთიან სამუშაო გარემოს. ეს ამცირებს პლატფორმებს შორის დივერსიფიკაციას, უზრუნველყოფს დავალებების სტატუსის მუდმივ კონტროლს და ზრდის სასწავლო პროცესის გამჭვირვალობას. ციფრულ სასწავლო ეკოსისტემაში რესურსებზე წვდომას განსაზღვრავს მინიჭებული როლები, რომელიც თავის თავში მოიაზრებს პლატფორმის გამოყენებას მისი ფუნქციიდან გამომდინარე. გაწერილი როლები გულისხმობს შემდეგს: Prime Troubleshooter - სერვერის ადმინი; NuclearScripter - სერვერის ბოტი; Elder - ადმინისტრაციული გუნდი, პროგრამის კოორდინატორები, კარიერის გუნდი, ხარისხის კონტროლი; Mentor - ამ როლში ერთიანდება 10X -ის ყველა ლექტორი და მენტორი; Assistant - სტუდენტს შეუძლია გახდეს ასისტენტი. ამ როლზე კურსის დაწყებიდან ორი თვის შემდეგ; Alumni - წარმატებული კურსდამთავრებულები, რომელთაც ეძლევათ კარიერული შესაძლებლობები და ახალი ნეთვორქინგის არხები შესაბამისი კონტენტით;

სასწავლო პროგრამის რელაციური როლები. როლები სტუდენტს ენიჭება იმ პროგრამის მიხედვით რომელზეც ჩაირიცხა და სწავლობს: Developer, Designer, Manager, Advertiser; Wanderer - სასწავლო სივრცის უსაფრთხოებისა და Discord raid-ების თავიდან აცილების მიზნით everyone როლს თითქმის არაფერზე არ აქვს დაშვება. ვანდერერის როლში ხდება ყველა “უცხო” რომლის იდენტიფიცირებას ხდება შემოსვლიდან ერთი თვის განმავლობაში. ასევე ვანდერერის როლში ხდება ყველა სტუდენტი ვინც ვერ ასრულებს კურსს.

ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულებაში დანერგულია მონიტორინგის უნიკალური მექანიზმი - Python-ის ბაზაზე შექმნილი ბოტი („Big Brother“). აღნიშნული ინსტრუმენტი 24/7 რეჟიმში ახორციელებს:

- სტუდენტთა დასწრებისა და სესიებში გატარებული დროის ავტომატურ აღრიცხვას;
- აქტივობისა და ჯგუფურ სამუშაოებში ჩართულობის დინამიკურ ანალიზს;

დავალებების შესრულების გრაფიკის კონტროლს. მოგროვებული მონაცემები ინტეგრირებულია შიდა ბაზასთან, რაც იძლევა სასწავლო პროცესის მუდმივი ოპტიმიზაციისა და ობიექტური შეფასების საშუალებას. გამოყენებული პლატფორმების ერთობლიობა იძლევა პროგნოზს, რომ:

- პროფესიულ სტუდენტებს აქვთ თანაბარი და უწყვეტი წვდომა ყველა სასწავლო რესურსზე;
- სრულად არის დაცული ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის საერთაშორისო მოთხოვნები;
- შეფასების თითოეული ეტაპი დოკუმენტირებულია, რაც უზრუნველყოფს უკუკავშირის დროულობასა და ვალიდურობას. ზემოაღნიშნული ელექტრონული პლატფორმების სინთეზი ქმნის ფუნქციურად მდიდარ სასწავლო გარემოს, რომელიც მზად არის მოთხოვნილი კვოტის მისაღებად. ტექნოლოგიური აღჭურვილობისა და მონიტორინგის სისტემის არსებობა იძლევა მყარ საფუძველს იმისათვის, რომ პროგრამა განხორციელდეს მაღალი პროფესიული სტანდარტების დაცვით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა მატერიალური რესურსების ფლობის დოკუმენტაცია და მომსახურების მიღების გადახდის ქვითრები. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

სხდომის თავმჯდომარემ, ხათუნა ჩხარტიშვილმა, სიტყვა გადასცა დარგის ექსპერტებს საკუთარი მოსაზრებების დასაფიქსირებლად.

გრაფიკული დიზაინის დარგის ექსპერტმა, ლელა მაისურაძემ, დაწესებულების შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა სასწავლო პროცესში „დისკორდის“ (Discord) პლატფორმის გამოყენების ეფექტიანობაზე. ექსპერტის განმარტებით, აღნიშნული პლატფორმა უზრუნველყოფს სწავლების, შეფასებისა და უკუკავშირის ოპტიმალურ გარემოს. მან დადებითად შეაფასა სტუდენტთა ნამუშევრების კრეატიულობა და ხაზი გაუსვა პროგრამის ხელმძღვანელის, ავთანდილ მღებრიშვილის მაღალ კვალიფიკაციას, რომელიც უშუალოდ იყო ჩართული დარგობრივი სტანდარტების შემუშავებაში. ექსპერტმა ასევე აღნიშნა დაწესებულების სოციალური მიდგომა - სტუდენტებისთვის კომპიუტერული ტექნიკის თხოვების პრაქტიკა. ინფრასტრუქტურულ ნაწილში დადასტურდა, რომ არსებული აუდიტორიები (A-გარემო) სრულად აკმაყოფილებს სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობის მოთხოვნას, მით უმეტეს, რომ მოდულების ნაწილი დისტანციურ რეჟიმში ხორციელდება.

Front-end დეველოპმენტის დარგის ექსპერტმა, ზურაბ მესხიძემ, დაადასტურა დაწესებულების პროგრესი და განვითარება. მან აღნიშნა, რომ „თენექსი“ ხელს უწყობს ახალგაზრდა პროფესიონალების რეალიზებას. ექსპერტის შეფასებით, Discord-ის სერვერი წარმოადგენს ეფექტურ პლატფორმას მსგავსი ტიპის ჯგუფების სამართავად, ხოლო კვოტის გაზრდის მოთხოვნა დასაბუთებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვერიკო ჭილაძემ, განმარტა მონაცემთა ანალიზის მეთოდოლოგია. მისი თქმით, დაწესებულება იყენებს ავტომატიზებულ სისტემას, სადაც Discord-იდან და Google Classroom-იდან მიღებული მონაცემები მუშავდება ერთიან ბაზაში. აღნიშნული იძლევა საშუალებას, ზუსტად გაიზომოს სტუდენტთა ჩართულობა და დასწრება. ექსპერტმა ასევე დააზუსტა მენტორინგის როლი, რომელიც გულისხმობს ინდივიდუალურ მუშაობას სტუდენტებთან იმ საკითხებზე, რაც ლექციის მსვლელობისას დამატებით გაშლას მოითხოვს.

საბჭოს წევრმა, ნათია ბუთხუზმა, დასვა შეკითხვები შრომის ბაზრის კვლევის ვალიდურობისა და დისტანციური სწავლების ხარისხის კონტროლის შესახებ. იგი დაინტერესდა, თუ არა კვლევა ეფუძნებოდა მხოლოდ აპლიკანტთა რეგისტრაციის მაღალ მაჩვენებელს და როგორ ხდებოდა სტუდენტთა ტექნიკური მზაობის (კომპიუტერული მონაცემების) შემოწმება დისტანციური სწავლების პირობებში.

დამფუძნებელმა, ნიცა მდივანმა, განმარტა, რომ აპლიკანტთა სიმრავლის გარდა, კვლევაში მონაწილეობა მიიღო 130-მა კომპანიამ. მონაცემები წარდგენილია შესაბამის ცენტრში. პროგრამების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ნუკრი ტუსიშვილმა, აღნიშნა, რომ ჩარიცხვის შემდგომ სტუდენტები გადიან „ონბორდინგის“ პროცესს. „გამეცანის“ ფორმის საშუალებით ხდება სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებებისა და ტექნიკური რესურსის შესწავლა. დაწესებულება ფლობს MacBook-ების პარკს, რომელთა გადაცემაც ხდება იმ სტუდენტებისთვის, ვისაც არ გააჩნია სათანადო სიმძლავრის კომპიუტერი. Discord-ის

პლატფორმაზე მოქმედებს სპეციალური ბოტი (Hardware Support), რომელიც ავტომატურად ასკანერებს სტუდენტის კომპიუტერის მონაცემებს. ასევე, ყოველი ლექციის შემდეგ სტუდენტები ავსებენ ქვიზებსა და შეფასების ფორმებს, რაც საშუალებას იძლევა მყისიერად დაიდენტიფიცირდეს ნებისმიერი სასწავლო თუ ტექნიკური ხარვეზი. მან დეტალურად განმარტა სტუდენტთა სასწავლო გარემოში ინტეგრაციის („ონბორდინგის“) პროცესი. აღინიშნა, რომ ჩარიცხვის პირველ კვირებში სტუდენტები ავსებენ სპეციალურ ფორმას („გამეცანის“ ფორმა), რომელიც ემსახურება სტუდენტის სწავლის სტილისა და ფსიქოლოგიური საჭიროებების იდენტიფიცირებას (მენტორობა, ემპათია, ჯგუფური მუშაობა და ა.შ.) და ასევე, ტექნიკური მზაობის შეფასებას.

ექსპერტმა ლელა მაისურაძემ დაადასტურა, რომ აღნიშნული კითხვარი დეტალურად იქნა შესწავლილი ექსპერტთა ჯგუფის მიერ და იგი სრულად პასუხობს დასახულ მიზნებს.

საბჭოს წევრის, ნათია ბუთხუზის კითხვაზე, თუ როგორ მოწმდება დისტანციურ რეჟიმში სტუდენტთა კომპიუტერული ტექნიკის შესაბამისობა პროგრამულ მოთხოვნებთან, დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ Discord პლატფორმაზე ინტეგრირებულია სპეციალური ბოტი (Hardware Support), რომელიც სტუდენტის ნებართვით ასკანერებს მოწყობილობის მონაცემებს და ავტომატურ რეჟიმში აწვდის ინფორმაციას ადმინისტრაციას; გრაფიკული დიზაინის პროგრამისთვის, რომელიც მაღალ ტექნიკურ პარამეტრებს მოითხოვს, დაწესებულება გასცემს MacBook-ის მოდელის ლეპტოპებს (Retina ეკრანითა და 16-32 GB ოპერატიული მეხსიერებით); მოქმედებს ჩატ-საპორტი, სადაც მენტორები და ლექტორები მუდმივ რეჟიმში ეხმარებიან სტუდენტებს ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრაში.

სწავლის შედეგების დადასტურების ობიექტურობასთან დაკავშირებით, ნუკრი ტუსიშვილმა წარმოადგინა შეფასების კომპლექსური, მრავალეტაპიანი მოდელი. აღინიშნა, რომ შეფასება ეფუძნება GitHub Classroom-ის პლატფორმას, სადაც სტუდენტის ყოველი ქმედება (Commit) ფიქსირდება და იძლევა ინდივიდუალური კონტრიბუციის გაზომვის საშუალებას. მისი განმარტებით, შეფასების სისტემა მოიცავს 6 ძირითადი კრიტერიუმს: კოდის ხარისხი (20%) ტექნიკური სრულყოფილება და სემანტიკური გამართულობა; დავალების შესრულება (25%) შესაბამისობა ე.წ. „Acceptance Criteria“-სთან (ტექნიკური დავალება); ტექნიკური ანალიზი (20%) ლექტორებისა და მენტორების მიერ შესრულებული სამუშაოს სიღრმისეული შეფასება; ინდივიდუალური კონტრიბუცია (10%) GitHub-ის მეშვეობით სტუდენტის ყოველდღიური აქტივობის ანალიზი; კრეატიულობა (10%) დამატებითი ძალისხმევა და სტანდარტს მიღმა გადაჭრილი ამოცანები. Peer Programming (15%) „Live“ რეჟიმში წყვილური მუშაობა, რაც სწავლა-სწავლების მეთოდის ნაწილია.

დაწესებულებამ აღნიშნა, რომ ყველა სასწავლო მონაცემი Discord-იდან და Google Classroom-იდან ავტომატურად გადადის MongoDB მონაცემთა ბაზაში. აღნიშნული ინფორმაცია მუშავდება სპეციალური სკრიპტებით, რაც გამორიცხავს ადამიანურ შეცდომას და უზრუნველყოფს სწავლების ხარისხის პერმანენტულ გაუმჯობესებას.

საბჭოს წევრმა, ნათია ბუთხუზმა, დააზუსტა დისტანციურ რეჟიმში შეფასების პროცესის ავთენტურობის საკითხი. კერძოდ, იგი დაინტერესდა, რამდენად არსებობს მექანიზმი იმის გადასამოწმებლად, რომ დავალებას ასრულებს უშუალოდ სტუდენტი და არა სხვა პირი, ვინაიდან სწავლება მიმდინარეობს პირისპირ კონტაქტის გარეშე.

დაწესებულების წარმომადგენლებმა (ავთანდილ მღებრიშვილი, ნუკრი ტუსიშვილი) განმარტეს, რომ სისტემა ეყრდნობა მონაცემთა მუდმივ ანალიზს. ნებისმიერი ანომალია (მაგალითად, როდესაც სტუდენტი პროცესში პასიურია, თუმცა ფინალურ დავალებას მაღალ

დონეზე ასრულებს) მყისიერად ფიქსირდება. ავთენტურობის დადასტურების ძირითად ინსტრუმენტებად დასახელდა: პროცესზე დაკვირვება - სამუშაო პროცესის ვიდეოფიქსაცია ან ეკრანის ჩაწერა (Screen Recording). პრეზენტაციის ეტაპი - ფინალური შეფასება ხდება ცოცხალ (Live) რეჟიმში ჟიურის წინაშე, სადაც სტუდენტი ინდივიდუალურად პასუხობს კითხვებს საკუთარი კონტრიბუციის შესახებ. GitHub-ის ანალიზი - კოდის წერის დინამიკის შემოწმება სტუდენტის მიერ გაკეთებული „კომიტების“ (Commits) მეშვეობით. სასწავლო პროცესის მენეჯმენტთან დაკავშირებით, დაწესებულებამ განმარტა სტუდენტთა გადანაწილების სქემა, კერძოდ, სალექციო ჯგუფები მოიცავს არაუმეტეს 50-55 სტუდენტს. ლექციის მსვლელობისას მენტორიც ჩართულია პროცესში და პასუხობს სტუდენტთა კითხვებს რეალურ დროში. პრაქტიკული სამუშაოებისთვის დიდი ჯგუფები იყოფა ორად, სადაც თითოეულ მენტორთან მუშაობს მაქსიმუმ 25-27 სტუდენტი. აღნიშნული უზრუნველყოფს თითოეულ სტუდენტთან ინდივიდუალურ მიდგომას.

კითხვა დაისვა ქართულენოვანი სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. ნუკრი ტუსიშვილმა განმარტა, რომ სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე, თუმცა ტექნიკური ტერმინოლოგია და სლაიდების ნაწილი ინგლისურენოვანია. ეს მიდგომა ემსახურება სტუდენტების მომზადებას რეალური შრომის ბაზრისთვის, სადაც საერთაშორისო სტანდარტი ინგლისური ენაა. დაწესებულებამ აღნიშნა, რომ ეტაპობრივად ახორციელებს რესურსების ადაპტაციასა და ქართულენოვანი აღწერილობების მომზადებას.

დარგის ექსპერტმა, ლელა მაისურაძემ, აღნიშნა, რომ ტექნიკური ტერმინების ქართულად თარგმნა ხშირად არაპრაქტიკულია და ართულებს ინფორმაციის შემდგომ მოძიებას საერთაშორისო ბაზებში.

ნათია ბუთხუზმა დასვა კითხვა კურსდამთავრებულთა სტატისტიკის დაბალ მაჩვენებელთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ კვალიფიკაციის ვერმინიჭება ხშირად უკავშირდება სტუდენტთა ნებაყოფლობით გადაწყვეტილებას. კერძოდ, სტუდენტთა ნაწილი კურსზე მოდის კონკრეტული უნარების (მაგ. Photoshop, Illustrator, Blender) ასათვისებლად და დასაქმებისთანავე წყვეტს სწავლას, რის გამოც ზოგად მოდულებს (მაგ. მეწარმეობა) აღარ ადასტურებს. დაწესებულება აქტიურად მუშაობს „ონბორდინგის“ სისტემის დახვეწაზე, რათა შემცირდეს სწავლის შეწყვეტის მაჩვენებელი და გაიზარდოს სტუდენტთა მოტივაცია სრული კვალიფიკაციის მისაღებად.

ავტორიზაციის ექსპერტმა, ვერიკო ჭილაძემ, დაადასტურა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა სიღრმისეულად შეისწავლა როგორც შეფასების ინსტრუმენტები, ისე უკვე განხორციელებული შეფასებები. მან ხაზი გაუსვა, რომ სწავლება ეფუძნება „პორტფოლიოს“ პრინციპს - ეს არის კომპლექსური და მრავალეტაპიანი შეფასება, რაც გამოირიცხავს შემთხვევითი შედეგების მიღებას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა დამატებით კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს "თენექსისთვის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "Front-end დეველოპმენტი" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, შპს "თენექსის" (ს/კ: 405650549) დანართით განსაზღვრულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "Front-end დეველოპმენტი" , გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 500 - ით (**დანართი 1**). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 4 მარტი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს "თენექსისთვის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "გრაფიკული დიზაინი" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, შპს "თენექსის" (ს/კ: 405650549) დანართით განსაზღვრულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "გრაფიკული დიზაინი", გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 700 - ით (**დანართი 2**). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 4 მარტი.

მესამე საკითხი: შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "აღმზრდელი" დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ალინა კუპრავა, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 10/01/2026 წლის MES 3 26 0000008813 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართულ კოლეჯში „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების წარმოების ფარგლებში განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შემოწმება. ვიზიტი განახორციელდა 2026 წლის 03 თებერვალს. ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. ვიზიტის დღის წესრიგით გათვალისწინებული აქტივობების თანახმად განხორციელდა სასწავლო გარემოების დათვალიერება-შეფასება, დოკუმენტაციების შესწავლა, შეხვედრები დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის აღწერილი დასკვნაში.

შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯი დაფუძნდა 2022 წელს და აღნიშნული პერიოდიდან ფუნქციონირებს საგანმანათლებლო სივრცეში. დღეის მდგომარეობით კოლეჯში ხორციელდება ორი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: „საფინანსო სერვისები“ და „Front-end დეველოპმენტი“, ასევე, ერთი პროფესიული მომზადების პროგრამა „რეგიონული ტურისტული მეგზური“. დაწესებულება საქმიანობას ახორციელებს „პროფესიული განათლების შესახებ“ კანონის, საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და სხვა მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

მისია და სტრატეგიული მიმართულებები

კოლეჯის მისიაა თითოეული პროფესიული სტუდენტისა და მსმენელისათვის ხელმისაწვდომი, სრულფასოვანი, დინამიური და ხარისხიანი პროფესიული განათლების უზრუნველყოფა, რაც ხელს უწყობს პროფესიული განათლების პოპულარიზაციას, შრომის ბაზართან ადაპტირებული და ქვეყნისა და ქვემო ქართლის რეგიონში კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, მათი შემდგომი დასაქმებისა და თვითრეალიზაციის პერსპექტივით. აღნიშნული მისიის შესაბამისად, კოლეჯს შემუშავებული აქვს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, ასევე ხელმძღვანელობს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების

განხორციელების ინსტრუქციით—, რომლის თანახმადაც გეგმავს შრომის ბაზრისთვის აქტუალური და მოთხოვნადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და დამატებას. შრომის ბაზრის მოთხოვნები და პარტნიორობა კოლეჯი მიზნად ისახავს პროფესიული განათლებით დაინტერესებული პირებისთვის მრავალფეროვანი პროგრამების შეთავაზებას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, 2023 წლიდან კოლეჯი თანამშრომლობს ა(ა)იპ ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებასთან. ქვეყანაში მიმდინარე სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს აღმზრდელების კვალიფიკაციის დადასტურება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრების მომზადებას გამოცდილი და კვალიფიციური სპეციალისტების ჩართულობით. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, კოლეჯმა მიიღო გადაწყვეტილება განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“. პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტი შემუშავდა და წარედგინა კოლეჯის დირექტორს.

საქართველოში ბავშვთა მოვლისა და სკოლამდელი განათლების სფერო წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნად საკადრო მიმართულებას. როგორც ადგილობრივ, ისე ეროვნულ დონეზე არსებული სტატისტიკური მონაცემები ადასტურებს, რომ აღმზრდელებსა და ძიებზე მოთხოვნა ბოლო წლებში მზარდი ტენდენციით ხასიათდება, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში, მათ შორის თბილისში. ქ. რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების ინფორმაციით, ფუნქციონირებს 23 საბავშვო ბაგა-ბაღი, რომლებიც მომსახურებას უწევენ დაახლოებით 6000 აღსაზრდელს და დასაქმებულია 200 აღმზრდელი. 2023–2024 სასწავლო წლის მონაცემებით, ქვეყნის მასშტაბით ფუნქციონირებს 1 708 საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღი, სადაც 141 324 აღსაზრდელი ირიცხება. საქსტატის 2022/2023 სააღმზრდელი წლის მონაცემების მიხედვით, ქვემო ქართლის რეგიონში ფუნქციონირებდა 122 საჯარო საბავშვო ბაღი, თუმცა 2025 წლისთვის აღნიშნული მაჩვენებელი ნაწილობრივ იცვლება, რაც დაკავშირებულია ბაღების ინფრასტრუქტურულ განახლებასთან ახალი ბაღების გახსნასა და არსებული შენობების რეაბილიტაციასთან.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შრომის ბაზრის ინფორმაციის სისტემის (LMIS) მიერ გამოქვეყნებული ანალიზები აჩვენებს, რომ სკოლამდელი განათლების სექტორში კვალიფიციურ აღმზრდელებზე მოთხოვნა მუდმივად მაღალია. 2023–2024 წლების შრომის ბაზრის ანალიზის მიხედვით, სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელები განათლების სფეროში მოთხოვნად პოზიციებს შორის TOP 5 ჯგუფში შედიან და შეადგენენ საერთო მოთხოვნის 14%-ს. 2021–2022 წლების შრომის ბაზრის ანგარიშის თანახმად, სკოლამდელი აღმზრდელები განათლების სექტორის ვაკანსიების 21%-ს (218 ვაკანსია) შეადგენდნენ, ხოლო 2021 წლის მონაცემებით განათლების სექტორის ყველა ვაკანსიის 23.3%-ს, რაც მიუთითებს სტაბილურ და მზარდ მოთხოვნაზე.

აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით უმეტესწილად ინტერესდებიან მდებარეობითი სქესის წარმომადგენლები. საქართველოში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, ქალები ხასიათდებიან შედარებით მაღალი მობილობით როგორც ქვეყნის შიგნით (ძირითადად ქორწინების შემთხვევაში), ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ დასაქმების კუთხით. აღნიშნული გარემოება ზრდის პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირების როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შრომის ბაზარზე დასაქმების პოტენციალს. ამ კონტექსტში გაანალიზდა კერძო ოჯახებში ბავშვების აღმზრდელად (nanny) დასაქმების ფინანსური შესაძლებლობები. ოფიციალურ სტატისტიკაზე, ვაკანსიების პლატფორმებსა და შრომითი სააგენტოების ანგარიშებზე დაყრდნობით, ქართველ ემიგრანტებს შორის ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნად სფეროდ დასახელებულია ბავშვების მოვლა და კერძო აღმზრდელობა. თურქეთში, საბერძნეთში, იტალიაში, აშშ-სა და კანადაში ანაზღაურების მაჩვენებლები ცხადყოფს, რომ აღნიშნული პროფესია იძლევა კონკურენტუნარიანი შემოსავლის მიღების შესაძლებლობას, რაც კიდევ უფრო იზრდება უცხო ენის ცოდნის შემთხვევაში.

ადგილობრივი შრომის ბაზრის ანალიზის მიხედვით, Jobs.ss.ge-ის კატეგორიაში „ძიძა, მომვლელი, დამხმარე ფიქსირდება 27–29 აქტიური ვაკანსია საქართველოს მასშტაბით, მათ შორის 25–27 ვაკანსია თბილისში და 1 ვაკანსია ქ. რუსთავში. ანაზღაურების კუთხით, კერძო ბალებში ბაღის აღმზრდელთა ხელფასი შეადგენს 700–1 400 ლარს, ხოლო უცხოურ და საერთაშორისო ბალებში ანაზღაურება შედარებით მაღალია. კერძო ოჯახებში დასაქმების შემთხვევაში, თბილისში 24-საათიანი ძიძის ანაზღაურება მერყეობს 2 000–2 500 ლარის ფარგლებში, დღიური გრაფიკით 900–1 800 ლარი, ხოლო რეგიონებში 400–1 800 ლარი.

ზემოაღნიშნული მონაცემების ერთიანი ანალიზი ადასტურებს, რომ საქართველოში ბავშვთა მოვლისა და სკოლამდელი განათლების სექტორი ხასიათდება სტაბილური და მზარდი შრომის ბაზრით, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ სრულად შეესაბამება შრომის ბაზრის არსებულ მოთხოვნებს და ქმნის რეალურ დასაქმების პერსპექტივებს პროგრამის კურსდამთავრებულთათვის.

საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნები:

აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით ინტერესდებიან უმეტესწილად მდებდრობითი სქესის წარმომადგენლები. საქართველოში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, ქალები ხასიათდებიან შედარებით მაღალი მობილობით როგორც ქვეყნის შიგნით (ძირითადად ქორწინების შემთხვევაში), ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ დასაქმების კუთხით. აღნიშნული გარემოება ზრდის პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირების შრომით მიგრაციაში ჩართვის შესაძლებლობას. აღნიშნულის გათვალისწინებით, კოლეჯმა გამოიკვლია, თუ რა ფინანსური შესაძლებლობები ეძლევათ აღმზრდელის პროფესიით დასაქმებულ პირებს, მათ შორის კერძო ოჯახებში ბავშვების აღმზრდელის პოზიციაზე. ქართველთა ემიგრაციისთვის გავრცელებული ძირითადი მიმღები ქვეყნების მიხედვით წარმოდგენილია ინფორმაცია ქართველ ემიგრანტებს შორის ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნად სფეროზე — ბავშვების მოვლასა და კერძო აღმზრდელობაზე (Nanny / Babysitter / Early Childhood Care). მონაცემები დაფუძნებულია ოფიციალურ სტატისტიკაზე, ვაკანსიების პლატფორმებსა და შრომითი სააგენტოების ანგარიშებზე. ზემოაღნიშნული მონაცემების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ უზრუნველყოფს პირის მომზადებას არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო შრომის ბაზრისთვისაც. ამასთანავე, დასაქმების ფინანსური შესაძლებლობები მნიშვნელოვნად იზრდება იმ შემთხვევაში, თუ კურსდამთავრებული ფლობს უცხო ენას შესაბამის საკომუნიკაციო დონეზე. დაწესებულებას ჰყავს საკმარისი ადამიანური რესურსი (პროგრამის განმახორციელებლები) საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად. დაწესებულებას ჰყავს საკმარისი ადამიანური რესურსი (ადმინისტრაცია, შესაბამისი კვალიფიკაციის პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებლები (11 განმახორციელებელი, მათ შორის 7 დარგობრივი მოდულებისათვის), რომლებიც უზრუნველყოფენ აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხიანად განხორციელებას. დაწესებულებას აქვს შესაბამისი მატერიალური რესურსი საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად. დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია A და B გარემოები, თითოეული აღჭურვილია 20 პროფესიული სტუდენტისათვის და მასწავლებლისათვის პროგრამის განსაზღვრული მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტთა მოსაზრებით პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აღმზრდელი შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის „აღმზრდელი“ საფუძველზე. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები,

მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლების შესახებ და სხვა. საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი შედგება პროგრამის ძირითადი დოკუმენტის, მოდულების, სასწავლო გეგმისგან (მათ შორის ქართული ენის A2 გათვალისწინებით და მის გარეშეც), პროგრამის პაკეტს თან ერთვის ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. პროგრამის სრული პაკეტის შესაწავლის შედეგად დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

„აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის კოლეჯში გამოყოფილია ერთი A და B ტიპის სასწავლო გარემო, თითოეული 20 პროფესიული სტუდენტისთვის. აღნიშნული გარემოები აღჭურვილია სრულფასოვან მატერიალურ რესურსით, რომელიც მოიცავს შესაბამის კომპიუტერულ აღჭურვილობას, სადემონსტრაციო საშუალებებს, დაფას, მაგიდებს, სკამებს და სხვა, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების სრული ჩართულობას სასწავლო პროცესში. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ორი მოდულის(გაცნობითი პრაქტიკა და პრაქტიკული პროექტი) განხორციელება ა(ა)იპ ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების ჩართულობით, რომელიც უზრუნველყოფს ერთდროულად 20 მსმენელის პრაქტიკულ საქმიანობას ბაღებში, გაერთიანების შემავალ დაწესებულებებში. აღნიშნული თანამშრომლობა, როგორც კოლეჯის მატერიალური რესურსი, ასევე პარტნიორ ორგანიზაციასთან თანამშრომლობა, უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებას კოოპერატიული მიდგომით 40 პროფესიული სტუდენტის ჩართულობით. ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 40 პროფესიული სტუდენტის გათვალისწინებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა კითხვები.

საბჭოს წევრი, ეკატერინე გიგაშვილი, დაინტერესდა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსები და აღჭურვილობით, ბიბლიოთეკის მიღმა.

ავტორიზაციის ექსპერტმა, ალინა კუპრავამ, განმარტა, რომ მოცემული პროგრამა არ საჭიროებს სპეციფიკურ მძიმე ტექნიკურ აღჭურვილობას. მისი თქმით, სასწავლო გარემო (იმიტირებული ბაღის მოდელი) ეტაპობრივად შეივსება თავად სტუდენტების მიერ მომზადებული ნამუშევრებით. ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად გაფორმებულია მემორანდუმი რუსთავის ბაგა-ბაღების გაერთიანებასთან, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა გადანაწილებას 23 ფილიალში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. დაწესებულება გეგმავს წლიურად 20 სტუდენტის მიღებას (ჯამური კვოტა - 40 სტუდენტი).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "აღმზრდელი" დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ემუხლის შესაბამისად, შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართულ კოლეჯს(ს/კ: 406308687) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "აღმზრდელი" (**დანართი 3**). გადაწვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 4 მარტი.

მეთხე საკითხი: სსიპ კოლეჯი ფაზისის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ირმა მეგრელიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ კოლეჯის „ფაზისის“ მიერ დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის MES 5 25 0001788504 ბრძანების საფუძველზე, ამავე ბრძანებით შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს, შემადგენლობით - ირმა მეგრელიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

(თავმჯდომარე), თაბუკა ციმინდია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (წევრი); ვერიკო ჭილაზე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (წევრი); ხათუნა ბაკურაძე - დარგის ექსპერტი (წევრი) - „კონდიტერია“, დემიდ ფასიეშვილი - დარგის ექსპერტი (წევრი) - „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“, „Front-end დეველოპმენტი“, „კომპიუტერული ქსელები და სისტემები“; ვალერი ჯაჯანიძე - დარგის ექსპერტი (წევრი) - „მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავის შეკეთება“; თამარ ჯანგულაშვილი - დარგის ექსპერტი (წევრი) - „ადმინისტრაციული სერვისები“; ნინო გზირიშვილი - დარგის ექსპერტი (წევრი) - „ფლორისტიკა“; ნანა შათირიშვილი - დარგის ექსპერტი (წევრი) - „სარესტორნო მომსახურება“, „სასტუმრო მომსახურება“; ხათუნა ჩომახიძე - დარგის ექსპერტი (წევრი) - „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“; ირმა ლარიბაშვილი - დარგის ექსპერტი (წევრი) - „ამწის ოპერირება“, „შედუღება“ ; მათა გრიგალაშვილი - დარგის ექსპერტი (წევრი) - „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“; მაგული მეზონია - დარგის ექსპერტი (წევრი) - „ელექტროობა“; ქეთევან ღვანიძე - დარგის ექსპერტი (წევრი) - „სკოლამდელი აღზრდა“; მათა ხურცილავა - დარგის ექსპერტი (წევრი) - „ბუღალტრული აღრიცხვა“; ტიტე ბოლქვაძე - დარგის ექსპერტი (წევრი) - „ტვირთების ექსპედიცია“; აკაკი გურგენიძე - დარგის ექსპერტი (წევრი) - „სადურგლო საქმე“. (შემდგომში „ექსპერტთა ჯგუფი“), დაგვევალა მიმდინარე წლის 12, 13, 14, 15, 16 და 17 იანვარს დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით ვიზიტის განხორციელება მისამართზე, ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. N54 და ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნოჯიხევი, სსიპ კოლეჯში „ფაზისი“. სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ (შემდგომში „კოლეჯი“ ან „დაწესებულება“ ან დასახელება სრულად) ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ზემოხსენებულ ბრძანებებს, კოლეჯის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, კოლეჯის ვებგვერდსა და მასზე განთავსებულ ინფორმაციას, კოლეჯში განხორციელებული ბოლო ვიზიტის დასკვნასა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებას. 2025 წლის 8 იანვარს ონლაინ პლატფორმის მეშვეობით შედგა ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა ვიზიტის დღის წესრიგის პროექტი, ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტის მოთხოვნებთან დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობის დადასტურებისათვის კოლეჯის მიერ წარმოსადგენი მტკიცებულებების/დოკუმენტების ნუსხა, ინტერვიუების სრულფასოვნად წარმართვის მიზნით კითხვების ჩამონათვალი და ჯგუფის წევრებს გადაუნაწილა ფუნქცია მოვალეობები. ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგებსა და ძირითად მიგნებებზე, რომლის მიხედვითაც საბოლოო სახით ჩამოყალიბდა ვიზიტის დღის წესრიგი (იხ. დანართი N1) და დაიგეგმა ვიზიტთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები. 2025 წლის 12, 13, 14, 15, 16 და 17 იანვარს ექსპერტთა ჯგუფმა, ცენტრის წარმომადგენელთან ერთად, განახორციელა ვიზიტი კოლეჯში. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით დაწესებულების პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, გაესაუბრა კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალს, პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროგრამის ხელმძღვანელებს, პროგრამების განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერდა კოლეჯის ინფრასტრუქტურა და სასწავლო გარემო, სრულად იქნა შესწავლილი კოლეჯის მიერ ძირითადი და დამხმარე პროცესების დაგეგმვა-ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები და წარმოდგენილია წინამდებარე დოკუმენტი. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების საკითხები, დაწესებულებას ყველა რეკომენდაცია გათვალისწინებული აქვს. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან ვითარებაში, ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ,

ჯგუფის წევრებთან ერთად დაწესებულებას წარუდგინა პრეზენტაცია ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეჯერებული მიგნებების შესახებ.

V. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

საუკეთესო პრაქტიკის ნიმუში - 1 კოლეჯის „ფაზისი“ და ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლობა პროფესიული განათლების ხელშეწყობისთვის, აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში, ყოველწლიურად კოლეჯი გამოავლენს: საუკეთესო პროფესიული სტუდენტი, საუკეთესო პროფესიული განათლების მასწავლებელი. შერჩევის პროცესში ყურადღება ექცევა მიღწევებს სასწავლო პროცესში, პროფესიულ უნარებს, პასუხისმგებლობას, ინიციატივას, აქტიურ ჩართულობას. წარდგენილ სტუდენტებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია ოფიციალურ, საზეიმო ღონისძიებაზე აჯილდოებს: ფულადი ჯილდოთი და სიგელით.

საუკეთესო პრაქტიკის ნიმუში - 2 სხვადასხვა პროფესიული პროგრამების სტუდენტების დაკავშირება/პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლება/სტუდენტზე ორიენტირება. აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ხის მხატვრული დამუშავება“ პროფესიულმა სტუდენტებმა დაამზადეს საბავშვო ავეჯი, კოლეჯის სივრცეში მოეწყო სპეციალური საბავშვო სივრცე. შექმნილი საბავშვო სივრცე ამავდროულად ასრულებს პრაქტიკის ობიექტის (დამატებითი) ფუნქციას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ პროფესიული სტუდენტებისთვის. აღსანიშნავია, აპლიკანტების რეგისტრაციის/სასწავლო პროცესის პერიოდში, თუ აპლიკანტებს/სტუდენტებს თან ახლავთ ბავშვები, თავიანთი შვილები, „სკოლამდელი აღზრდის“ პროგრამის სტუდენტები, მასწავლებლის ჩართულობით, ამ სივრცეში უზრუნველყოფენ ბავშვებზე მეთვალყურეობას, რაც აძლიერებს პროფესიული უნარების ჩამოყალიბებას.

საუკეთესო პრაქტიკის ნიმუში - 3 ერთადერთი კოლეჯი, რომელიც ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას - „ფლორისტიკა“ და ასევე მეთევზეობის მიმართულებით 3 პროგრამას - მოშენებიდან მზა პროდუქტამდე: 1. ფერმერობა მეთევზეობაში 2. თევზის გადამუშავება 3. ლაბორატორიული საქმე მეთევზეობაში.

საუკეთესო პრაქტიკის ნიმუში - 4 წარმატებული კურსდამთავრებულების დასაქმება კოლეჯში პროფესიული განათლების მასწავლებლებდ. მიმდინარე ეტაპზე ასეთი არის 3 ადამიანი.

საუკეთესო პრაქტიკის ნიმუში - 5 Eberhard Schöck Stiftung-თან პარტნიორობა კოლეჯის „ფაზისი“ და Eberhard-Schöck-ის ფონდის პარტნიორობა მნიშვნელოვან სარგებელს აძლევს კოლეჯს როგორც საგანმანათლებლო ხარისხის, ისე საერთაშორისო თანამშრომლობის თვალსაზრისით. ფონდის მხარდაჭერით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ხის მხატვრული დამუშავება“, კოლეჯში წელიწადში რამდენჯერმე ტარდება პრაქტიკაზე ორიენტირებული ვორკშოპები დარგში გამოცდილ გერმანელ ტრენერთან ერთად, როგორც პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის, ასევე პროფესიული სტუდენტებისთვის. აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობს თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სწავლების მეთოდების დანერგვას და უზრუნველყოფს სწავლების შინაარსის შესაბამისობას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, ცოდნისა და პრაქტიკული უნარების მუდმივ განახლებას თანამედროვე ევროპული სტანდარტების შესაბამისად. კოლეჯის „ფაზისის“ ორგანიზებით ვორკშოპები ტარდება საქართველოში არსებული კოლეჯების სადურგლო მიმართულების პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის. აღნიშნული ტრენინგები კოლეჯის სადურგლო სახელოსნოში ტარდება, რაც კოლეჯს რეგიონული/ეროვნული ჰაბის ფუნქციას აძლევს და აძლიერებს მის ინსტიტუციურ როლს პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარებასა და გადამზადებაში. ფონდის ხელშეწყობით კოლეჯის მასწავლებლებმა და პროფესიულმა სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს 3-კვირიან გაცვლით პროგრამაში გერმანიაში, რამაც გააძლიერა მათი პროფესიული კომპეტენციები და საერთაშორისო გამოცდილება. ასევე, გერმანელი სტაჟიორები, სადურგლო საქმის კურსდამთავრებულები, სტუმრობდნენ კოლეჯს 1 კვირით. გერმანელი სტაჟიორების მასპინძლობა კოლეჯში ხელს

უწყობს კულტურულ და პროფესიულ გაცვლას, კოლეჯის საერთაშორისო ცნობადობის ზრდას და სასწავლო გარემოს გამრავალფეროვნებას. გარდა „სადურგლო საქმისა“ Eberhard-Schöck-ის ფონდთან დაწესებულება თანამშრომლობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტრობა“ ფარგლებში. პარტნიორობის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგ კურსები თემაზე: მზის ელექტრო სადგურის მონტაჟი და ექსპლუატაცია. ტრენინგი ჩატარდა პროფესიული სტუდენტებისთვის, კურსდამთავრებულებისთვის და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის. ტრენინგზე ასევე, მონაწილეობას იღებდნენ ელექტრობის მიმართულების პროფესიული განათლების მასწავლებლები საქართველოში არსებული სხვადასხვა კოლეჯებიდან, სწორედ ფონდის მხარდაჭერით, კოლეჯის ეზოში მდგარ ორი სახელოსნოს სახურავზე დამონტაჟდა მზის პანელი, რომლებიც მუშაობენ და გამოიმუშავენ ელექტროენერჯიას. ჯამში, აღნიშნული პარტნიორობა Eberhard-Schöck-ის ფონდთან ქმნის მდგრად საფუძველს პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის, ადამიანური რესურსის განვითარებისათვის და კოლეჯის კონკურენტუნარიანობის გასაძლიერებლად, ქმნის საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობებს.

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება **ხარვეზები არ გამოვლენილა**

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ა. რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა I, III, IV და V სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად:

5.1.2.1 ინდიკატორი ნაწილობრივ შესაბამისობაშია, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ფართში არაა დაცული უსაფრთხოების ზომები ხობის მისამართზე. აღნიშნულ შენობაზე არაა სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა, თუმცა დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ვიზიტის პერიოდში შესაბამისობის გეგმა. ექსპერტების მხრიდან გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 26.03.2027 წ. დაწესებულებამ უზრუნველყოს აღნიშნული ინდიკატორის დაკმაყოფილება. ეს პერიოდი რელევანტურადაა მიჩნეული ექსპერტთა მხრიდან;

5.1.2.1 ინდიკატორი ნაწილობრივ შესაბამისობაშია, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ფართში დაცული არაა უსაფრთხოების ზომები, დაწესებულებას არ აქვს შენობის მდგრადობის დოკუმენტი წარმოდგენილი ფოთის მისამართზე არსებულ სამ სახელოსნოში, ასევე ამავე შენობებზე არაა არც სახანძრო უსაფრთხოების დადებითი დასკვნის დოკუმენტი. სტანდარი არ იყო შესაბამისობაში. დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „ელექტრობა“, „ამწის ოპერირება“, „კონდიტერია“, „შედუღება“, „მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება“, „სადურგლო საქმე“ ფარგლებში არსებული სასწავლო სახელოსნოების შენობა-ნაგებობისთვის (მისამართი: ქალაქი ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54, საკადასტრო კოდი N 04.02.02.316) სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონალური ექსპერტიზის დეპარტამენტის მიმართ 02/2026 წ. გაგზავნილი მიწერილობა MES 2 26 0000203301, სადაც ითხოვს განახორციელონ შენობების მდგრადობა უსაფრთხოებაზე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარებას, შემდგომში შესაბამისი დასკვნის მომზადების მიზნით. ასევე, დაწესებულებამ წარმოადგინა 19/02/2026 MES 4 26 0000202719 გაგზავნილი განცხადება შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიმართ გაკეთებული განცხადება, სადაც ითხოვს საქართველოს მთავრობის 2022 წლის 10 ივნისის N308 მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული მომსახურების სახეებიდან შემდეგი სახის მომსახურება/მომსახურება: შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და შესაბამისი წინადადებების მომზადებას. დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ კოლეჯი „ფაზისის“ დირექტორის 23/02/2026 წ. ბრძანება N01/09-ით დამტკიცებული „შესაბამისობის

შესყიდვა, რათა მოხდეს ინდიკატორის სრულ შესაბამისობაში მოყვანა პროგრამის მიზნებსა და შინაარსთან, ვიზიტის პერიოდში დასრულებული იყო აღჭურვილობის შედენის პროცედურები, თუმცა მოსაწყობია სასწავლო ლაბორატორია, ამიტომ დაწესებულების მიერ აღებული ვადა რელევანტურია. ასევე დაწესებულებამ წარმოადგინა კორექტირებული დირექტორის 23/02/2026 წ. N01/09 ბრძანებით დამტკიცებული „შესაბამისობის უზრუნველოფის გეგმა“, სადაც აღნიშნული ინდიკატორი მონიშნულია, როგორც მეტწილ შესაბამისობაში და აღმოფხვრის ვადად განსაზღვრულია 6 თვე (23.08.2026წ).

2.2.1.1 ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - „Front-end დეველოპმენტი“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის უზრუნველყოფილი დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, თუმცა დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ კოლეჯი „ფაზისის“ დირექტორის 23/02/2026 წ. ბრძანება N01/09-ით დამტკიცებული „შესაბამისობის უზრუნველოფის გეგმა“, სადაც აღნიშნული ინდიკატორი მონიშნულია, როგორც მეტწილ შესაბამისობაში და აღმოფხვრის ვადად განსაზღვრულია 6 თვე, რაც ექსპერტებმა რელევანტურად მიიჩნიეს (23.08.2026წ).

2.2.1.2 ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „Front-end დეველოპმენტი“ განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა ვერ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ კოლეჯი „ფაზისის“ დირექტორის 23/02/2026 წ. ბრძანება N01/09-ით დამტკიცებული „შესაბამისობის უზრუნველოფის გეგმა“, სადაც აღნიშნული ინდიკატორი მონიშნულია, როგორც მეტწილ შესაბამისობაში და აღმოფხვრის ვადად განსაზღვრულია 6 თვე (23.08.2026წ), რაც ექსპერტებმა რელევანტურად მიიჩნიეს. ასევე დაწესებულებამ წარმოადგინა მტკიცებულება ვაკანსიის გამოცხადების შესახებ.

2.2.1.3 ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „Front-end დეველოპმენტი“ წარმოდგენილი დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი სამი მასწავლებლიდან ორ პროფესიული განათლების მასწავლებელს არ აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ კოლეჯი „ფაზისის“ დირექტორის 23/02/2026 წ. ბრძანება N01/09-ით დამტკიცებული „შესაბამისობის უზრუნველოფის გეგმა“, სადაც აღნიშნული ინდიკატორი მონიშნულია, როგორც მეტწილ შესაბამისობაში და აღმოფხვრის ვადად განსაზღვრულია 6 თვე (23.08.2026წ), რაც ექსპერტებმა რელევანტურად მიიჩნიეს.

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ა. რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა I, III, IV და V სტანდარტებთან მიმართებით, განსავითარებლად და პროცესების უკეთ წარმართვის უზრუნველსაყოფად:

4.1.1.1. სასურველია მოხდეს ფუნქცია-მოვალეობების გადახედვა და სისტემატიზაცია ისე, რომ თითოეული პოზიციის ფარგლებში ფუნქციები იყოს წარმოდგენილი ლოგიკური თანმიმდევრობით, ერთგვაროვანი ტერმინოლოგიითა და გამართული სტრუქტურით, რაც ხელს შეუწყობს პასუხისმგებლობების უკეთ აღქმასა და დოკუმენტის მიზნობრივ გამოყენებას. აღნიშნული, შეიძლება მოიცავდეს: · მოცულობითი და კომპლექსური წინადადებების გამარტივებას; · ერთი პოზიციისთვის ერთი და იმავე შინაარსის ფუნქციების ერთი ფორმით ჩამოყალიბებას; · ფუნქციების პროცესების მიხედვით დაჯგუფებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული ფრაგმენტული და ქაოსური აღწერა; · იმ შემთხვევებში, როდესაც ერთ ფუნქციაში გამოყენებულია განსხვავებული ჩართულობის ფორმები (მაგ.: ახორციელებს / კოორდინაციას უწევს / მონაწილეობს), მათი წარმოდგენა ისეთი კონტექსტით, რომელიც უზრუნველყოფს ფუნქციის შესრულების მიზანმიმართულ გარემოებას.

ბ. რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან მიმართებით, განსავითარებლად და პროცესების უკეთ წარმართვის უზრუნველსაყოფად:

2.4.2.1 განმავითარებელი რეკომენდაცია გასწორდეს ტექნიკური უზუსტობები „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში“.

2.2.1.1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „სკოლამდელი აღზრდა“ განმავითარებელი რეკომენდაცია პრაქტიკის ობიექტთან (ბაღების გაერთიანებასთან) გაფორმებულ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს თან ერთვოდეს როგორც ფოტოს, ასევე ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ნუსხა.

2.2.1.5. “მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება“ პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი სასწავლო მასალები, თუმცა სასურველია, დაწესებულებამ დაამატებით მოიძიოს სხვადასხვა ავტო მწარმოებლის ტექ. მომსახურების და რემონტის სახელმძღვანელოები.

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულება ეთანხმება დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს და წარმოადგინა 23/02/2026 წლის N 01/09 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა თანდართული დოკუმენტაციით. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს მტკიცებულებებს - შესაბამისობის გეგმა, მთავრობის წერილი, წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს, წერილი ექსპერტიზის ბიუროს, შესყიდვების ხელშეკრულებებს, ასევე მტკიცებულებებს ვაკანსიის გამოცხადების შესახებ, რაც აისახა დასკვნაში

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ამწის ოპერირება

ამწის ოპერირების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განეკუთვნება პროფესიული განათლების მეოთხე დონეს და კურსდამთავრებულებს ანიჭებს საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციას ამწის ოპერირებაში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი - 1041). პროგრამა თავდაპირველად დამტკიცდა კოლეჯ „ფაზისის“ მიერ 2025 წლის 14 აგვისტოს ბრძანებით, რომელშიც ცვლილება იმავე წლის 29 ოქტომბერს შევიდა. საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქართულ ენაზე, ქალაქ ფოთში, კონსტიტუციის ქუჩა N54-ში. სწავლება ხორციელდება კოოპერაციული ფორმით, რეალურ სამუშაო გარემოში. პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 20 სტუდენტს შეადგენს (10 ადგილი მოდულურ, ხოლო 10 ადგილი ინტეგრირებულ პროგრამაზე), რასაც ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება. კრედიტების მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის არაინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე 70, ხოლო ინტეგრირებულზე 100 კრედიტს უდრის. არაქართულენოვანი აპლიკანტებისთვის, ენის დამატებითი მოდულების გათვალისწინებით, კრედიტების რაოდენობა შესაბამისად 100 და 130-მდე იზრდება.

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება ლოგიკურად უკავშირდება დაწესებულების სტრატეგიულ მიზნებსა და ქალაქ ფოთის (მათ შორის თავისუფალი ინდუსტრიული ზონისა და პორტის) შრომის ბაზრის აქტიურ მოთხოვნებს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს სრული ზოგადი განათლება, ხოლო ინტეგრირებული მიდგომის შემთხვევაში – საბაზო ზოგადი განათლება. პროგრამა ითვალისწინებს ერთ არჩევით მოდულს პორტალური ამწის მართვის მიმართულებით და დეტალურად ფარავს სხვადასხვა ტიპის (კომპურა, მობილური, ჯოჯგინა, ხიდურა, საავტომობილო) ამწეების ოპერირებას. პროგრამის სახელწოდება და სტრუქტურა სრულ შესაბამისობაშია მისაღწევ შედეგებთან და ავტორიზაციის სტანდარტებთან.

მატერიალური და ადამიანური რესურსების მიმართულებით ექსპერტთა ჯგუფმა დადებითად შეაფასა თეორიული (A და B ტიპის) გარემოების აღჭურვილობა, თუმცა პრაქტიკული (C ტიპის) გარემოსთან მიმართებით სტანდარტი მეტწილად შესაბამისად შეფასდა. ამის საფუძველზე, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც 6

თვის ვადაში (2026 წლის 23 აგვისტომდე) გეგმავს მრავალფუნქციური ამწის სიმულატორის შექმნას აღნიშნული ხარვეზის სრულად აღმოსაფხვრელად. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 27 კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთა სამუშაო დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს. ინფრასტრუქტურა სრულად არის ადაპტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პირებისთვის. პროგრამა ფინანსურად მდგრადია და მისი რენტაბელობის ზღვარი მოდულური ჯგუფისთვის 10, ხოლო ინტეგრირებულისთვის 9 სტუდენტითაა განსაზღვრული.

დაწესებულებაში მოქმედებს პროგრამების შეფასებისა და განვითარების ქმედითი შიდა მექანიზმები, რომლებიც ეფუძნება დაინტერესებულ მხარეთა რეგულარულ გამოკითხვებსა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს დამტკიცებული გეგმის მიხედვით, თანამედროვე მეთოდოლოგიების გამოყენებითა და სსსმ პირთა საჭიროებების გათვალისწინებით (მათ შორის, ჟესტური ენის თარჯიმნისა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტის ჩართულობით). კოოპერაციული სწავლების ფარგლებში გაფორმებულია მემორანდუმები სამ პარტნიორ კომპანიასთან (შპს „არაგვი“, შპს „მეტალექს ტრანსი“, შპს „ბი ენდ პი“), რაც რეალურ სამუშაო გარემოში პრაქტიკული უნარების გამომუშავებას უზრუნველყოფს. შეფასების სისტემა არის სანდო, გამჭვირვალე და ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმებს, თუმცა ექსპერტთა მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია მარეგულირებელ დოკუმენტში არსებული ტექნიკური უზუსტობის (ტერმინ „ჩარჩო დოკუმენტის“ ჩანაცვლება შესაბამისი სტანდარტის ტერმინით) გამოსწორების თაობაზე. მტკიცებულებები დაწესებულებაში სათანადოდ ინახება 3 წლის ვადით, ხოლო თავად შეფასების უწყისები – უვადოდ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა

აღნიშნული პროგრამა განეკუთვნება პროფესიული განათლების მესამე დონეს და კურსდამთავრებულებს ანიჭებს საბაზო პროფესიულ კვალიფიკაციას ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი - 0612). პროგრამა დამტკიცებულია 2025 წლის 1 აგვისტოს ბრძანებით, რომელშიც ცვლილება იმავე წლის 12 ოქტომბერს შევიდა. საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქართულ ენაზე, ქალაქ ფოთში, კონსტიტუციის ქ. 54-ში. სწავლება ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში. პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 30 სტუდენტს შეადგენს (15-15 სტუდენტი ორ ცვლაში), რასაც ექსპერტთა ჯგუფი სრულად ეთანხმება. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 55 კრედიტს, ხოლო არაქართულენოვანი აპლიკანტებისთვის, ენის დამატებითი მოდულის გათვალისწინებით, 70 კრედიტს უდრის.

პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება სრულად შეესაბამება დაწესებულების სტრატეგიულ მიზნებსა და შრომის ბაზრის საჭიროებებს. კერძოდ, „საქართველოს დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სტრატეგიისა (2023-2026)“ და ადგილობრივი ბაზრის კვლევის (2024-2025) მიხედვით, IT სპეციალისტებზე, მათ შორის კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორებსა და მხარდაჭერის სპეციალისტებზე, მაღალი მოთხოვნა ფიქსირდება. პროგრამაზე დაშვების წინაპირობას საბაზო განათლება წარმოადგენს. პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს და მისი სტრუქტურა ლოგიკურადაა დაკავშირებული მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

მატერიალური რესურსების მიმართულებით, ექსპერტთა ჯგუფმა სტანდარტი მეტწილად შესაბამისად შეაფასა, რადგან ვიზიტის პერიოდში პროგრამით გათვალისწინებული აღჭურვილობა ჯერ კიდევ არ იყო სრულად ხელმისაწვდომი. თუმცა, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და სატენდერო დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც ტექნიკის შესყიდვა 2026 წლის 1 მარტამდე განხორციელდება, რაც ექსპერტების მიერ რელევანტურად მიიჩნია. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი (8 ზოგადი და 4 პროფესიული მოდულების მიმართულებით), რომელთა კვირეული დატვირთვა კანონმდებლობის შესაბამისად არ აღემატება 40 საათს.

ინფრასტრუქტურა სრულად არის ადაპტირებული სსსმ პირებისთვის, ხოლო საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით, მათ შორის „საკანონმდებლო მაცნეზე“ წვდომის უზრუნველყოფით. პროგრამა ფინანსურად მდგრადია და რენტაბელობის ზღვრად 11 სტუდენტია განსაზღვრული.

დაწესებულებაში დანერგილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების შიდა მექანიზმები, რომლებიც ეყრდნობა დაინტერესებულ მხარეთა, მათ შორის დამსაქმებელთა, უკუკავშირს. სასწავლო პროცესი მკაცრად მიჰყვება დამტკიცებულ სასწავლო გეგმას და ორიენტირებულია სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე. სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება თანამედროვე, სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდები, როგორცაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, სიტუაციური ანალიზი, როლური თამაშები და იმიტირებული სამუშაო გარემო. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა არის ვალიდური, ობიექტური და გამჭვირვალე, რომელიც მოიცავს შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციასა და მტკიცებულებების სათანადო შენახვას (3 წლის ვადით მტკიცებულებები, ხოლო უვადოდ – უწყისები). ექსპერტთა მიერ ამ ნაწილში გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია ტერმინოლოგიური უზუსტობის (ტერმინ „ჩარჩო დოკუმენტის“) გამოსწორების თაობაზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - კომპიუტერული ქსელი და სისტემები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებაა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, რომელიც განეკუთვნება პროფესიული განათლების მეოთხე დონეს და კურსდამთავრებულებს ანიჭებს საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციას აღნიშნულ სფეროში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი - 0612). პროგრამა დამტკიცებულია 2025 წლის 1 აგვისტოს ბრძანებით, რომელშიც ცვლილება იმავე წლის 12 ოქტომბერს განხორციელდა. საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქართულ ენაზე, ქალაქ ფოთში, კონსტიტუციის ქუჩა N54-ში, იმიტირებულ სამუშაო გარემოში. პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 30 სტუდენტს შეადგენს, საიდანაც 15 ადგილი ინტეგრირებულ, ხოლო 15 არაინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზეა გათვლილი. კრედიტების მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის ინტეგრირებულ გეგმაზე 117, ხოლო არაინტეგრირებულზე 87 კრედიტს შეადგენს. არაქართულენოვანი აპლიკანტებისთვის კრედიტების რაოდენობა შესაბამისად 147 და 117-მდე იზრდება.

პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება სრულად შეესაბამება დაწესებულების სტრატეგიულ მიზნებსა და შრომის ბაზრის მზარდ მოთხოვნებს. ადგილობრივი და ეროვნული ბაზრის კვლევები, ასევე დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სტრატეგია (2023-2026), ცხადყოფს კომპიუტერული ქსელისა და სისტემების ინჟინრებზე, ტექნიკოსებსა და ადმინისტრატორებზე მაღალ დეფიციტსა და მოთხოვნას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს სრული ზოგადი განათლება არაინტეგრირებული მოდელისთვის, ხოლო ინტეგრირებული მიდგომის შემთხვევაში – საბაზო ზოგადი განათლება. პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს და მისი სტრუქტურა ლოგიკურადაა დაკავშირებული მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და არ არის შეცდომაში შემყვანი.

მატერიალური რესურსების მიმართულებით, სწავლებისათვის დაწესებულებას ფოთში გამოყოფილი აქვს კონკრეტული სასწავლო სივრცეები. კერძოდ, A ტიპის ორ სასწავლო გარემოში (აუდიტორიები N308 და N211) თითოეულში მოწყობილია პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი კომპიუტერით, 15 სტუდენტზე გათვლილი სამუშაო მაგიდები და სკამები, სადემონსტრაციო საშუალება და დაფა. B ტიპის სასწავლო გარემოში (აუდიტორია N306), რომელიც 20 სტუდენტზეა გათვლილი, განთავსებულია 20 პროფესიული სტუდენტის კომპიუტერი და სამუშაო ადგილი, ასევე მასწავლებლის კომპიუტერი, სადემონსტრაციო ტექნიკა და დაფა. დამატებით, ინტეგრირებული პროგრამისთვის უზრუნველყოფილია სამი აუდიტორია ზოგადი ინტეგრირებული მოდულისთვის (მეცნიერება და ტექნოლოგიები), რომელიც მოიცავს ქიმიის, ბიოლოგიისა და ფიზიკა-გეოგრაფიის მატერიალურ რესურსებს. აღნიშნული გარემო ერთი ჯგუფისთვის დატვირთულია საშუალოდ

4 საათით, რაც სივრცის მოქნილი მართვის საშუალებას იძლევა. სპორტის მოდულისთვის მოწყობილია შესაბამისი გარემო მაგიდის ჩოგბურთისა და ფრენბურთის აღჭურვილობით. მიუხედავად ამ საბაზისო ინფრასტრუქტურისა, ვიზიტის პერიოდში პროგრამით გათვალისწინებული სპეციფიკური ტექნიკური აღჭურვილობა სრულად არ იყო ადგილზე, რის გამოც ექსპერტებმა სტანდარტი მეტწილად შესაბამისად შეაფასეს. აღნიშნულის მოსაგვარებლად დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და 2026 წლის 15 იანვარს გაფორმებული სატენდერო ხელშეკრულება (შპს „იუ-ჯი-თი“-სთან), რომლის მიხედვითაც ტექნიკის შესყიდვა 2026 წლის 1 მარტამდე (ან 6-თვიანი გეგმით 23 აგვისტომდე) დასრულდება. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 24 კვალიფიციური მასწავლებელი, რომელთა დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს. სასწავლო გარემო სრულად არის ადაპტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პირებისთვის და პროგრამა ფინანსურად მდგრადია (რენტაბელობის ზღვარი ინტეგრირებული ჯგუფისთვის 10, ხოლო არაინტეგრირებულისთვის 11 სტუდენტია).

დაწესებულებაში ეფექტურად ფუნქციონირებს პროგრამების შეფასებისა და განვითარების შიდა მექანიზმები, რომლებიც ეყრდნობა ხარისხის მართვის ციკლსა და დაინტერესებულ მხარეთა (დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, სტუდენტები, პერსონალი) უკუკავშირს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად ატარებს კვლევებს, რომელთა შედეგების ანალიზიც აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესის სრულყოფის, საჭიროების შემთხვევაში პროგრამაში დროული ცვლილებების ასახვისა და მისი შემდგომი განვითარებისთვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებაა „მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება“, რომელიც განეკუთვნება პროფესიული განათლების მესამე დონეს და კურსდამთავრებულებს ანიჭებს საბაზო პროფესიულ კვალიფიკაციას აღნიშნულ სფეროში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი - 0716). პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯ „ფაზისის“ დირექტორის 2025 წლის 14 აგვისტოს N01/120 ბრძანებით, რომელშიც ცვლილება იმავე წლის 29 ოქტომბერს შევიდა. საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქართულ ენაზე, ქალაქ ფოთში, კონსტიტუციის ქ. N54-ში, იმიტირებულ სამუშაო გარემოში. პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 20 სტუდენტს (10-10 ორ ცვლაში), რასაც ექსპერტთა ჯგუფი სრულად ეთანხმება. კრედიტების მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 56 კრედიტს, ხოლო არაქართულენოვანი აპლიკანტებისთვის, ენის დამატებითი მოდულის გათვალისწინებით, 71 კრედიტს უდრის.

პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება ლოგიკურადაა დაკავშირებული დაწესებულების სტრატეგიულ მიზნებსა და შრომის ბაზრის საჭიროებებთან. ადგილობრივი და რეგიონული კვლევები, ასევე დასაქმების პლატფორმების (jobs.ge, hr.ge და ა.შ.) მონაცემები ცხადყოფს ავტოსერვისის სფეროში კვალიფიციურ ტექნიკურ კადრებზე მზარდ მოთხოვნას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს საბაზო ზოგადი განათლება. პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს და მისი სახელწოდება და შინაარსი სრულად შეესაბამება მისაღწევ კვალიფიკაციას.

მატერიალური რესურსების მიმართულებით, ექსპერტთა ჯგუფმა დადებითად შეაფასა დაწესებულების ინფრასტრუქტურა. AC ტიპის სასწავლო გარემოში სრულად არის წარმოდგენილი სასწავლო დანიშნულების მსუბუქი ავტომობილი, ძრავის ამოსაღები და სადიაგნოსტიკო საშუალებები (მათ შორის კომპრესომეტრები), იარაღების კომპლექტები და ორპორტიანი ამწე. ექსპერტებმა გასცეს განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ დაწესებულებამ სამომავლოდ დაიმატოს სხვადასხვა ავტომწარმოებლის ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის სახელმძღვანელოები (შესაძლოა პროგრამული უზრუნველყოფის სახითაც). პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 11 კვალიფიციური პროფესიული განათლების

მასწავლებელი, რომელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. სასწავლო სივრცეები (ერთსართულიანი შენობა ადაპტირებული შესასვლელითა და სველი წერტილებით) სრულად ხელმისაწვდომია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პირებისთვის. პროგრამა ფინანსურად მდგრადია და რენტაბელობის ზღვრად 7 პროფესიული სტუდენტია განსაზღვრული.

დაწესებულებაში ეფექტურად მოქმედებს პროგრამების შეფასებისა და განვითარების შიდა მექანიზმები, რომლებიც ეფუძნება ხარისხის მართვის ციკლსა და დამსაქმებელთა, სტუდენტთა და პერსონალის უკუკავშირს. სასწავლო პროცესი მკაცრად მიჰყვება დამტკიცებულ სასწავლო გეგმას და ორიენტირებულია სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე. სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება თანამედროვე მეთოდები, როგორცაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება და პრაქტიკული დემონსტრირება იმიტირებულ გარემოში. შრომის უსაფრთხოების ნორმები მკაცრად არის დაცული (AC გარემოში გამოკრულია ინსტრუქციები). პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა სანდო და გამჭვირვალეა, მოიცავს ვერიფიკაციის მექანიზმებსა და შედეგების ანალიზს სტუდენტთა შემდგომი განვითარებისთვის. ექსპერტებმა შეფასების მიმართულებითაც გასცეს ტექნიკური რეკომენდაცია (მარეგულირებელ დოკუმენტში ტერმინ „ჩარჩო დოკუმენტის“ შესწორების შესახებ). მტკიცებულებები დაწესებულებაში ინახება 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები – უვადოდ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - სარესტორნო მომსახურება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებაა „სარესტორნო მომსახურება“, რომელიც განეკუთვნება პროფესიული განათლების მეოთხე დონეს და კურსდამთავრებულებს ანიჭებს საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციას აღნიშნულ სფეროში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი - 1013). პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯ „ფაზისის“ დირექტორის 2025 წლის 1 აგვისტოს №01/109 ბრძანებით, რომელშიც ცვლილება იმავე წლის 12 ოქტომბერს განხორციელდა. საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქართულ ენაზე, ქალაქ ფოთში, კონსტიტუციის ქუჩა N54-ში. სწავლება ხორციელდება კოოპერაციული ფორმით, რეალურ სამუშაო გარემოში. პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 20 სტუდენტს შეადგენს, საიდანაც 10 ადგილი ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზეა გათვლილი. კრედიტების მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის ინტეგრირებულ გეგმაზე 104, ხოლო არაინტეგრირებულზე 76 კრედიტს შეადგენს. არაქართულენოვანი აპლიკანტებისთვის (ენის დამატებითი მოდულებით) კრედიტების რაოდენობა შესაბამისად 134 და 106-მდე იზრდება.

პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება სრულად შეესაბამება დაწესებულების სტრატეგიულ მიზნებსა და ტურიზმის სექტორში არსებულ კვალიფიციური კადრების დეფიციტს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს სრული ზოგადი განათლება არაინტეგრირებული გეგმისთვის, ხოლო ინტეგრირებულის შემთხვევაში – საბაზო ზოგადი განათლება. პროგრამა ითვალისწინებს სამ არჩევით მოდულს: „საწარმოო პრაქტიკა“, „ღვინის დეგუსტაცია“ და „პირველადი გადაუდებელი დახმარება“, რაც ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან (მართალია, „პირველადი გადაუდებელი დახმარება“ სტანდარტის არჩევით ბლოკში არ არის, თუმცა დამატებითი 2-კრედიტიანი დამოუკიდებელი მოდულის სახით დაშვებულია).

მატერიალური რესურსების მიმართულებით, ექსპერტთა ჯგუფმა დადებითად შეაფასა დაწესებულების ინფრასტრუქტურა. თეორიული და პრაქტიკული სწავლებისთვის გამოყოფილია A (№208, 308) და B (№306, რესტორნის მართვის ტექნიკური პროგრამით აღჭურვილი) ტიპის სასწავლო გარემოები, ასევე ინტეგრირებული მოდულებისთვის გამოყოფილია შესაბამისი ლაბორატორიები (ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა/გეოგრაფია) და სპორტული სივრცე. კოოპერაციული სწავლების ფარგლებში გაფორმებულია მემორანდუმები ორ პარტნიორ ორგანიზაციასთან: შპს „ვილა რეტა“ და „სასტუმრო პარაგრაფი“, რომლებიც უზრუნველყოფენ პრაქტიკული მოდულების (საწარმოო პრაქტიკა, ღვინის დეგუსტაცია,

სერვისი და სერვირება, ფინანსური მართვა) განხორციელებას 20-20 სტუდენტზე. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 31 კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთა დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. სასწავლო გარემო სრულად არის ადაპტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პირებისთვის და პროგრამა ფინანსურად მდგრადია (რენტაბელობის ზღვარი 8, ხოლო ინტეგრირებულისთვის 10 პროფესიული სტუდენტია).

დაწესებულებაში ეფექტურად ფუნქციონირებს პროგრამების შეფასებისა და განვითარების შიდა მექანიზმები, რომლებიც ეყრდნობა ხარისხის მართვის ციკლსა და დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირს. სასწავლო პროცესი მკაცრად მიჰყვება დამტკიცებულ სასწავლო გეგმას და სტუდენტთა საჭიროებების გათვალისწინებით მოქნილია (მათ შორის დისტანციური სწავლების რეგულაციებით). პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა სანდო და გამჭვირვალეა, მოიცავს ვერიფიკაციის მექანიზმებს (ინსტრუმენტის, პროცესისა და მტკიცებულებების ვერიფიკაცია). ექსპერტებმა შეფასების მიმართულებითაც გასცეს ტექნიკური რეკომენდაცია (მარეგულირებელ დოკუმენტში ტერმინ „ჩარჩო დოკუმენტის“ შესწორების შესახებ). მტკიცებულებები დაწესებულებაში ინახება 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები – უვადოდ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - სასტუმრო მომსახურება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებაა „სასტუმრო მომსახურება“, რომელიც განეკუთვნება პროფესიული განათლების მეოთხე დონეს და კურსდამთავრებულებს ანიჭებს საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციას აღნიშნულ სფეროში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი - 1013). პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯ „ფაზისის“ დირექტორის 2025 წლის 1 აგვისტოს №01/109 ბრძანებით, რომელშიც ცვლილება იმავე წლის 12 ოქტომბერს განხორციელდა. საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქართულ ენაზე, ქალაქ ფოთში, კონსტიტუციის ქუჩა N54-ში. სწავლება ხორციელდება კოოპერაციული ფორმით, რეალურ სამუშაო გარემოში. პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 20 სტუდენტს შეადგენს, საიდანაც 10 ადგილი ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზეა გათვლილი. კრედიტების მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის ინტეგრირებულ გეგმაზე 104, ხოლო არაინტეგრირებულზე 76 კრედიტს შეადგენს. არაქართულენოვანი აპლიკანტებისთვის (ენის დამატებითი მოდულებით) კრედიტების რაოდენობა შესაბამისად 134 და 106-მდე იზრდება.

პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება სრულად შეესაბამება დაწესებულების სტრატეგიულ მიზნებსა და ტურიზმის სექტორში არსებულ კვალიფიციური კადრების მოთხოვნას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს სრული ზოგადი განათლება არაინტეგრირებული გეგმისთვის, ხოლო ინტეგრირებულის შემთხვევაში – საბაზო ზოგადი განათლება. პროგრამა ითვალისწინებს ორ არჩევით მოდულს: „საწარმოო პრაქტიკა“ და „პირველადი გადაუდებელი დახმარება“, რაც ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან (მართალია, „პირველადი გადაუდებელი დახმარება“ სტანდარტის არჩევით ბლოკში არ არის, თუმცა დამატებითი 2-კრედიტიანი დამოუკიდებელი მოდულის სახით დაშვებულია).

მატერიალური რესურსების მიმართულებით, ექსპერტთა ჯგუფმა დადებითად შეაფასა დაწესებულების ინფრასტრუქტურა. თეორიული და პრაქტიკული სწავლებისთვის გამოყოფილია A (№311, 312), B (№306, კომპიუტერული კლასი სასტუმროს მართვის ტექნიკური პროგრამით) და C ტიპის სასწავლო გარემოები. C გარემო მოიცავს სიმულაციურ მიმღებს (Lobby, №309) და სიმულაციურ სასტუმროს ნომერს (№310), რომელიც სრულად არის ადჰურვილი სტანდარტული ინვენტარით. ასევე, ინტეგრირებული მოდულებისთვის გამოყოფილია შესაბამისი ლაბორატორიები (ქიმიკა, ბიოლოგია, ფიზიკა/გეოგრაფია) და სპორტული სივრცე. კოოპერაციული სწავლების ფარგლებში გაფორმებულია მემორანდუმები ორ პარტნიორ ორგანიზაციასთან: შპს „ვილა რეტა“ (20 სტუდენტი) და „სასტუმრო პარაგრაფი“

(30 სტუდენტი), რომლებიც უზრუნველყოფენ პრაქტიკული მოდულების განხორციელებას. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 31 კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთა დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. სასწავლო გარემო სრულად არის ადაპტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პირებისთვის და პროგრამა ფინანსურად მდგრადია (რენტაბელობის ზღვარი 8, ხოლო ინტეგრირებულისთვის 11 პროფესიული სტუდენტია).

დაწესებულებაში ეფექტურად ფუნქციონირებს პროგრამების შეფასებისა და განვითარების შიდა მექანიზმები, რომლებიც ეყრდნობა ხარისხის მართვის ციკლსა და დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირს. სასწავლო პროცესი მკაცრად მიჰყვება დამტკიცებულ სასწავლო გეგმას და სტუდენტთა საჭიროებების გათვალისწინებით მოქნილია (მათ შორის დისტანციური სწავლების რეგულაციებით). პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა სანდო და გამჭვირვალეა, მოიცავს ვერიფიკაციის მექანიზმებს (ინსტრუმენტის, პროცესისა და მტკიცებულებების ვერიფიკაცია). მტკიცებულებები დაწესებულებაში ინახება 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები – უვადოდ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - სკოლამდელი აღზრდა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებაა „სკოლამდელი აღზრდა“, რომელიც განეკუთვნება პროფესიული განათლების მეხუთე დონეს და კურსდამთავრებულებს ანიჭებს უმაღლეს პროფესიულ კვალიფიკაციას აღნიშნულ სფეროში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი - 0112). პროგრამა დამტკიცებულია 2025 წლის 29 ივლისის №01/106 ბრძანებით, რომელშიც ცვლილება იმავე წლის 19 ნოემბერს განხორციელდა. საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქართულ ენაზე. პროგრამის განხორციელების ლოკაციად ფიქსირდება როგორც ქალაქი ფოთი, ისე ხობის მუნიციპალიტეტის სოფელი ნოჯიხევი, სადაც უშუალოდ არის მობილიზებული სასწავლო რესურსები. სწავლება ხორციელდება კოოპერაციული ფორმით, რეალურ სამუშაო გარემოში. პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 30 სტუდენტს შეადგენს (ორ ცვლაში), რასაც ექსპერტთა ჯგუფი სრულად ეთანხმება. კრედიტების მოცულობა ინტეგრირებულ გეგმაზე ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 116 კრედიტს შეადგენს, ხოლო არაქართულენოვანი აპლიკანტებისთვის კრედიტების რაოდენობა 146-ს უდრის.

პროგრამის დაგეგმვა და განხორციელება სრულად შეესაბამება დაწესებულების სტრატეგიულ მიზნებსა და რეგიონის განვითარების საჭიროებებს. გადაწყვეტილება ეფუძნება შიდა პოლიტიკას, ხარისხის უზრუნველყოფის წესებსა და კოლეგიური ორგანოების პროცედურებს. პროგრამა მიზნად ისახავს კვალიფიციური კადრების მომზადებას, მათ შორის ზრდასრული ადამიანებისთვის კვალიფიკაციის ამალღებისა თუ პროფესიაში გადამისამართების გზით, რაც პარტნიორ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით მიიღწევა და უზრუნველყოფს შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების ინტეგრაციას.

მატერიალური რესურსების მიმართულებით, 21-თვიანი სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად დაწესებულებას ხობის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნოჯიხევიში გამოყოფილი აქვს შესაბამისი სასწავლო გარემო. კერძოდ, A ტიპის აუდიტორიაში მოწყობილია 15 სტუდენტზე გათვლილი სამუშაო სივრცე შესაბამისი ტექნიკითა და დაფით. B ტიპის გარემო წარმოადგენს კომპიუტერულ კლასს 20 სტუდენტისთვის სრული აღჭურვილობით, ხოლო C ტიპის სასწავლო სივრცეში განთავსებულია პროგრამით განსაზღვრული სპეციფიკური მატერიალური რესურსები. ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინფრასტრუქტურა რეალისტურადაა დაგეგმილი, ფაქტობრივად ხელმისაწვდომია და სრულად შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და მოთხოვნებს.

პრაქტიკული კომპონენტის (მათ შორის გაცნობითი პრაქტიკისა და პრაქტიკული პროექტის) განხორციელების მიზნით, დაწესებულებას უვადო ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული ხობის მუნიციპალიტეტის მერიასთან. აღნიშნული შეთანხმება 20 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკით უზრუნველყოფას გულისხმობს. პარტნიორი საბავშვო

ბალის ხელმძღვანელთან გასაუბრებამ დაადასტურა მათი მზაობა და კვალიფიციური კადრებით აღჭურვილობა, რათა სტუდენტებმა რეალურ გარემოში შეძლონ სააღმზრდელო პროცესებზე დაკვირვება და პრაქტიკული უნარების განვითარება. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფმა გამოსცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც აუცილებელია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს დანართის სახით დაემატოს იმ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების კონკრეტული ნუსხა, სადაც სტუდენტები უშუალოდ გაივლიან პრაქტიკას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ფლორისტიკა

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფლორისტიკა“ ცვლებში (ჯგუფში 15 სტუდენტი) ხორციელდება ქ. ფოთში, კონსტიტუციის ქ. №54-ში. პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია თითო A, AC, B სასწავლო გარემო: AC სასწავლო გარემო (№104) - აღჭურვილია სპეციალური ინვენტარით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 19 პროფესიული მასწავლებელი, აქედან 15 განახორციელებს ზოგად მოდულებს, ხოლო 4 განახორციელებს პროფესიულ მოდულებს. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას დანართის სახით ახლავს განმახორციელებელი პერსონალის სია, რომლის მიხედვით დგინდება, რომ დაწესებულებას მოდულებზე ჰყავს მინიმუმ ორი განმახორციელებელი პერსონალი. პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებამდე, პროფესიული განათლების მასწავლებელთა შემადგენლობის განსაზღვრისა და მოდულების განაწილების მიზნით, იქმნება სამუშაო ჯგუფი. სამუშაო პროცესი წარიმართება შემდეგი ეტაპების დაცვით:

კომპეტენციების შესაბამისობის დადგენა: სამუშაო ჯგუფის წევრები, ადამიანური რესურსების მენეჯერის მიერ წარმოდგენილი პირადი საქმეების საფუძველზე, ერთობლივად აფასებენ მასწავლებელთა კვალიფიკაციისა და კომპეტენციების შესაბამისობას საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

- განაწილების პროექტის მომზადება: ხორციელდება მასწავლებლებზე მოდულების განაწილების პირველადი პროექტის შემუშავება.
- უკუკავშირი და კორექტირება: პროცესში ერთვებიან პროფესიული განათლების მასწავლებლები მათი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინების მიზნით. მიღებული უკუკავშირის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, პროექტში შედის შესაბამისი ცვლილებები.
- ტარიფიკაციის დოკუმენტის ფორმირება: საბოლოო ეტაპზე დგება ტარიფიკაცია, რომლითაც განისაზღვრება თითოეული მასწავლებლისთვის გადასაცემი მოდულების ზუსტი ჩამონათვალი. მოდულების წინასწარი, გამჭვირვალე განაწილების სქემა და ტარიფიკაცია ქმნის მყარ ადმინისტრაციულ საფუძველს პროგრამის შეუფერხებელი და გრძელვადიანი ფუნქციონირებისთვის.

2.2.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფლორისტიკა“ პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები, რომლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობას და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. კერძოდ, პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. ასევე, უმეტეს მათგანს აქვს მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში, სასწავლო რესურსების განახლებაში. მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში (ინტერესთა კონფლიქტის დაცვით). მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც ახორციელებს მასწავლებელი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ ცვლებში (ჯგუფში 15 სტუდენტი) ხორციელდება ქ. ფოთში, კონსტიტუციის ქ. №54-ში. პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია შემდეგი აუდიტორიები აღჭურვილია სპეციალური ინვენტარით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ განხორციელებაში ჩართულია 18 პროფესიული განათლების მასწავლებელი. აქედან, ზოგადი მოდულებისთვის 11 პირია განსაზღვრული, პროფესიული მოდულების განმახორციელებლად 7 პირი. გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვაც, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. დაწესებულება უზრუნველყოფს, რომ მათმა კვირეულმა დატვირთვამ არ გადააჭარბოს 40 საათს. პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებამდე, პროფესიული განათლების მასწავლებელთა შემადგენლობის განსაზღვრისა და მოდულების განაწილების მიზნით, იქმნება სამუშაო ჯგუფი. სამუშაო პროცესი წარიმართება შემდეგი ეტაპების დაცვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები, რომლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობას და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. კერძოდ, პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. ასევე, უმეტეს მათგანს აქვს მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში, სასწავლო რესურსების განახლებაში. მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მონაწილეობენ

ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში (ინტერესთა კონფლიქტის დაცვით). მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც ახორციელებს მასწავლებელი.

შეფასების სისტემის გამართული და ეფექტიანი მუშაობა რეგულირდება დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 20 ივნისის N01/152 ბრძანებით (ცვლილება: ბრძ. №01/174 17.12.2025) დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი, ვერიფიკაციის მექანიზმები“. დაწესებულებაში შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ა) ვალიდურობას; ბ) სანდოობას; გ) გამჭვირვალობას; დ) სამართლიანობას; ე) ობიექტურობას. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრულია განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა, რაოდენობა და ვადები, ინფორმაცია გამოყენებული ინსტრუმენტის შესახებ. მარეგულირებელი წესი მოიცავს ნამუშევრის გასწორებისა და შეფასების ვადებს. შეფასების სისტემა ეფუძნება სანდოობის, ვალიდურობის, გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. დოკუმენტში ჩარჩენილია საგანმანათლებლო სტანდარტის ნაცვლად „ჩარჩო დოკუმენტი“, რაზეც გაიცა რეკომენდაცია ჩანაცვლების შესახებ.

2.4.2.1 სტანდარტი დამაკმაყოფილებელია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური, თუმცა გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია ტექნიკური უზუსტობების გამოსწორების შესახებ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - მოდის ტექნოლოგია და დიზაინი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ ხორციელდება ქ. ფოთში, კონსტიტუციის ქ. №54-ში. პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არის 20 (მათ შორის იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს 10 პროფესიული სტუდენტი) პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. კოლეჯის მიერ გამოყოფილია შემდეგი აუდიტორიები: ზოგადი ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისთვის გამოყოფილია 3 აუდიტორია, სადაც განთავსებულია - მეცნიერება და ტექნოლოგიები შესაბამისი მატერიალური რესურსები - ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა/გეოგრაფია. აღნიშნულ გარემო ერთი ჯგუფისთვის დატვირთულია საშუალოდ 4 საათით, რაც საშუალებას იძლევა მოქნილად იქნეს გამოყენებული სხვადასხვა პროგრამის/ჯგუფების მართვისთვის. სპორტის მოდულის გარემო: თემა - მაგიდის ჩოგბურთი და თემა - ფრენბურთი შესაბამისი აღჭურვილობით. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი ფაბრიკასთან შპს „აჭარა ტექსტილი“ 2 წლის ვადით. პარტნიორი ორგანიზაციები უზრუნველყოფს საწარმოო პრაქტიკის მოდულის განხორციელებას ცვლებში 20 პროფესიული სტუდენტისთვის (ერთდროულად 10 სტუდენტი). ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის თანახმად პარტნიორი ორგანიზაცია პასუხისმგებლობას იღებს ზემო აღნიშნული მოდულის განხორციელებაზე, სტუდენტისთვის შესაბამისი მატერიალური რესურსებითა და მასალ-ნედლეულით უზრუნველყოფაზე და შრომით უსაფრთხოებაზე. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის დროს პრაქტიკის ობიექტების შემოწმებით დადასტურდა სწავლის შედეგების განხორციელების მიღწევადობის შესაძლებლობა და მატერიალური რესურსების ფლობა კვოტით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობისთვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ განხორციელებაში ჩართულია 20 პროფესიული განათლების მასწავლებელი. აქედან ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისთვის განსაზღვრულია 14 პირი (მათ შორის ერთი დარგობრივ მოდულებს ახორციელებს), ზოგადი მოდულებისთვის 5 პირი (მათ შორის ერთი ინტეგრირებულ მოდულებსაც ახორციელებს), ხოლო პროფესიული მოდულებს - 3 პირი (მათ შორის ერთი ინტეგრირებულ მოდულებს ახორციელებს). გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვაც, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. დაწესებულება უზრუნველყოფს, რომ მათმა კვირულმა დატვირთვამ არ გადააჭარბოს 40 საათს. პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებამდე, პროფესიული განათლების მასწავლებელთა შემადგენლობის განსაზღვრისა და მოდულების განაწილების მიზნით, იქმნება სამუშაო ჯგუფი. სამუშაო პროცესი წარიმართება შემდეგი ეტაპების დაცვით.

კოლეჯის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა ფართი აღჭურვილია უსაფრთხოების შესაბამისი სტანდარტებითა და მექანიზმებით, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების, პერსონალისა და ვიზიტორების უსაფრთხო გარემოს. შენობა-ნაგებობებში დაცულია სახანძრო და ევაკუაციის მოთხოვნები - ყველა სართულზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები (ცეცხლმაქრები, სახანძრო სიგნალიზაციის სისტემები), გაწერილია ევაკუაციის გეგმები და გამოყოფილია საევაკუაციო გზები. სივრცეები რეგულარულად გადის ტექნიკურ ინსპექტირებას, მათ შორის გათბობა-გაგრილების სისტემები, ელექტროგაყვანილობა და წყლის სისტემები. შენობებში უზრუნველყოფილია ვიდეომეთვალყურეობა და დაცულია დაშვების კონტროლი საჭირო ადგილებში, რაც ზრდის საერთო უსაფრთხოების დონეს. კოლეჯში დანერგილია უსაფრთხოების შიდა პოლიტიკა, რომლის ფარგლებში ტარდება პერსონალისა და სტუდენტების ინსტრუქტაჟები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - კონდიტერია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კონდიტერია“ ხორციელდება ქ. ფოთში, კონსტიტუციის ქ. №54-ში. პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არის 20 (მათ შორის იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს 10 პროფესიული სტუდენტი) პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. კოლეჯის მიერ გამოყოფილია შემდეგი აუდიტორიები: ზოგადი ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისთვის გამოყოფილია 3 აუდიტორია, სადაც განთავსებულია - მეცნიერება და ტექნოლოგიები შესაბამისი მატერიალური რესურსები - ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა/გეოგრაფია. აღნიშნულ გარემო ერთი ჯგუფისთვის დატვირთულია საშუალოდ 4 საათით, რაც საშუალებას იძლევა მოქნილად იქნეს გამოყენებული სხვადასხვა პროგრამის/ჯგუფების მართვისთვის. სპორტის მოდულის გარემო: თემა - მაგიდის ჩოგბურთი და თემა - ფრენბურთი შესაბამისი აღჭურვილობით.

C სასწავლო გარემო - სახელოსნო დაწესებულებას მის მფლობელობაში აქვს, კოლეჯის ეზოში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კონდიტერია“ მოთხოვნის შესაბამისად ახლადაშენებული სახელოსნო, რომელიც გარემონტებულია და კეთილმოწყობილია (სველი წერტილები, სანტექნიკის წერტილები, სავინტილაციო სისტემა, სამუშაო ფართის გადანაწილება, განათება, წყალგამძლე მასალების გამოყენება, გასახდელები და სხვა) სტანდარტის შესაბამისად. თუმცა დაწესებულებას შეეძინა არ აქვს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო დანადგარები, ელექტრო აღჭურვილობები და მატერიალური რესურსები. ამისათვის დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა (პროგრამის დანართი 15), რომლის თანახმადაც ტექნიკისა და მატერიალური რესურსების შესყიდვისათვის

სამუშაოები დაწყებულია 2025 წლის 01 სექტემბერს და დასრულდება 2026 წლის 01 თებერვალს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა განხორციელებული სამუშაოები და შესაბამისი მტკიცებულებები. საქმის მიმდინარეობისა და განსახორციელებელი აქტივობების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ შესაბამისობის გეგმის შესრულება რელევანტური და მიღწევადია განსაზღვრულ დროში.

2.2.1.1 სტანდარტი მეტწილ შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის „კონდიტერია“. დაწესებულებას წარმოადგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, რის საფუძველზეც დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - 01.03.2026 წ უზურნველყოფის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესყიდვა, რათა მოხდეს ინდიკატორის სრულ შესაბამისობაში მოყვანა პროგრამის მიზნებსა და შინაარსთან. დაწესებულებამ წარმოადგინა შესყიდვების მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებები, ამიტომ ექსპერტთა ჯგუფმა ვადა რელევანტურად მიიჩნია. ასევე დაწესებულებამ წარმოადგინა კორექტირებული დირექტორის 23/02/2026 წ. N01/09 ბრძანებით დამტკიცებული „შესაბამისობის უზურნველოფის გეგმა“, სადაც აღნიშნული ინდიკატორი მონიშნულია, როგორც მეტწილ შესაბამისობაში და აღმოფხვრის ვადად განსაზღვრულია 6 თვე (23.08.2026წ).

შეფასების სისტემის გამართული და ეფექტიანი მუშაობა რეგულირდება დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 20 ივნისის N01/152 ბრძანებით (ცვლილება: ბრძ. №01/174 17.12.2025) დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი, ვერიფიკაციის მექანიზმები“. დაწესებულებაში შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ა) ვალიდურობას; ბ) სანდოობას; გ) გამჭვირვალობას; დ) სამართლიანობას; ე) ობიექტურობას. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრულია განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა, რაოდენობა და ვადები, ინფორმაცია გამოყენებული ინსტრუმენტის შესახებ. მარეგულირებელი წესი მოიცავს ნამუშევრის გასწორებისა და შეფასების ვადებს. შეფასების სისტემა ეფუძნება სანდოობის, ვალიდურობის, გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. დოკუმენტში ჩარჩენილია საგანმანათლებლო სტანდარტის ნაცვლად „ჩარჩო დოკუმენტი“, რაზეც გაიცა რეკომენდაცია ჩანაცვლების შესახებ. 2.4..2.1 სტანდარტი დამაკმაყოფილებელია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური, თუმცა გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია ტექნიკური უზუსტობების გამოსწორების შესახებ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - სადურგლო საქმე

კოლეჯი “ფაზისში” „სადურგლო საქმე“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება კოლეჯის შესაბამის სასწავლო სივრცეებში. უზურნველოფილია პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი მატერიალური და საგანმანათლებლო გარემო. სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნება პროგრამის შინაარსს, პრაქტიკული კომპონენტების მოცულობასა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას. პროგრამას თან ერთვის სავალდებულო მატერიალური რესურსების დეტალური ჩამონათვალი, რომელიც წარმოადგენს პროგრამის დანართს და მოიცავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო რესურსებს. აღნიშნული ჩამონათვალი უზურნველოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების სრულფასოვან განხორციელებას. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის

შედეგები მიიღწევა წარმოდგენილი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ადეკვატურია. სწავლებისათვის დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი აღჭურვილობა. ვიზიტის ფარგლებში პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებულმა გასაუბრებამ და მათი პირადი საქმეების შესწავლამ დაადასტურა, რომ კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლები სრულად აკმაყოფილებენ „სადურგლო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელ კვალიფიკაციასა და პროფესიულ მოთხოვნებს. მასწავლებელთა პირად საქმეებში წარმოდგენილია პროგრამის პროფილის შესაბამისი დოკუმენტაცია, მათ შორის: შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები; სადურგლო სფეროში სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ცნობები. წარმოდგენილი მასალები ადასტურებს, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ფლობს როგორც თეორიული ცოდნის გადაცემის, ისე პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებისთვის აუცილებელ პროფესიულ კომპეტენციებს. დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებლებს აქვთ პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება სადურგლო პროფილის მქონე საწარმოში, რაც მნიშვნელოვნად აძლიერებს სასწავლო პროცესის პრაქტიკულ ორიენტაციას. გასაუბრებების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელმა მასწავლებლებმა გაიარეს პროფესიული განვითარებისა და გადამზადების კურსები. აღნიშნული გადამზადების კურსები მნიშვნელოვნად აძლიერებს მასწავლებელთა პედაგოგიურ და პროფესიულ კომპეტენციებს და დადებითად აისახება მოდულების სწავლების ხარისხზე. დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლები, პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, აქტიურად არიან ჩართული: მოდულების შემუშავებისა და საჭიროების შემთხვევაში მათი ადაპტირების პროცესში; სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების მომზადებაში; მოდულების განხორციელების მიმდინარეობის მონიტორინგში. აღნიშნული პრაქტიკა მიუთითებს, რომ პროგრამის შინაარსი ეფუძნება კოლეჯიურ თანამშრომლობასა და პრაქტიკულ პროფესიულ გამოცდილებას. ყველა პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებელთან გაფორმებულია წინასწარი ხელშეკრულებები, ხოლო მომდინარე მოდულის განმახორციელებელთან შრომითი ხელშეკრულებები, რომლებშიც მკაფიოდ არის განსაზღვრული სამართლებრივად მოთხოვნილი ძირითადი პირობები, კონკრეტული მოდულები, სამუშაო ფუნქციები, პასუხისმგებლობები და სასწავლო დატვირთვა. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია, პრაქტიკული გამოცდილება, პროფესიული განვითარების ისტორია და სამუშაო დატვირთვის რაციონალური განაწილება სრულად უზრუნველყოფს „სადურგლო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხიან, უწყვეტ და მდგრად განხორციელებას. მასწავლებელთა კომპეტენციები პირდაპირ უწყობს ხელს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას.

შეფასების სისტემის გამართული და ეფექტიანი მუშაობა რეგულირდება დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 20 ივნისის N01/152 ბრძანებით (ცვლილება: ბრძ. N01/174 17.12.2025) დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი, ვერიფიკაციის მექანიზმები“. დაწესებულებაში შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ა) ვალიდურობას; ბ) სანდოობას; გ) გამჭვირვალობას; დ) სამართლიანობას; ე) ობიექტურობას. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრულია განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა, რაოდენობა და ვადები, ინფორმაცია

გამოყენებული ინსტრუმენტის შესახებ. მარეგულირებელი წესი მოიცავს ნამუშევრის გასწორებისა და შეფასების ვადებს. შეფასების სისტემა ეფუძნება სანდოობის, ვალიდურობის, გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. დოკუმენტში ჩარჩენილია საგანმანათლებლო სტანდარტის ნაცვლად „ჩარჩო დოკუმენტი“, რაზეც გაიცა რეკომენდაცია ჩანაცვლების შესახებ.

2.4..2.1 ინდიკატორი დამაკმაყოფილებელია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური, თუმცა გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია ტექნიკური უზუსტობების გამოსწორების შესახებ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - Front-end დეველოპმენტი

კოლეჯი “ფაზისში” „Front-end დეველოპმენტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება კოლეჯის შესაბამის სასწავლო სივრცეებში, სადაც არ არის უზრუნველყოფილი პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი მატერიალური და საგანმანათლებლო გარემო, თუცა სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნება პროგრამის შინაარსს, პრაქტიკული კომპონენტების მოცულობასა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას. პროგრამას თან ერთვის სავალდებულო მატერიალური რესურსების დეტალური ჩამონათვალი, რომელიც წარმოადგენს პროგრამის დანართს და მოიცავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო რესურსებს. აღნიშნული ჩამონათვალი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების სრულფასოვან განხორციელებას. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიიღწევადობა განსაზღვრულია დაწესებულების მიერ შემუშავებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ჩამონათვალით, რომელიც პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ადეკვატურია.

სამი აუდიტორია, სადაც განთავსებულია ზოგადი ინტეგრირებული მოდულის - მეცნიერება და ტექნოლოგიები შესაბამისი მატერიალური რესურსები - ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა/გეოგრაფია. აღნიშნულ გარემო ერთი ჯგუფისთვის დატვირთულია საშუალოდ 4 საათით, რაც საშუალებას იძლევა მოქნილად იქნეს გამოყენებული სხვადასხვა პროგრამის/ჯგუფების მართვისთვის. სპორტის მოდულის გარემო: თემა - მაგიდის ჩოგბურთი და თემა - ფრენბურთი შესაბამისი აღჭურვილობით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება 30 პროფესიული სტუდენტით ერთ მიღებაზე. აქედან 15 პროფესიული სტუდენტი ინტეგრირებულ პროგრამაზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროგრამის ხანგძლივობის (ორი წელი), სასწავლო გარემოს, აღჭურვილობის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის გათვალისწინებით დაგეგმილია პროგრამის ფარგლებში სულ ერთი ჯგუფის მიღება ინტეგრირებულზე და ერთი ჯგუფი მიღება არაინტეგრირებულზე. პრაქტიკული მეცადინეობების წარმართვაზე c გარემოში პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებისა და სასწავლო გარემოს დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯის მატერიალური ბაზა, რესურსების ხელმისაწვდომობა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, სრულად ვერ უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის ხელმძღვანელთან და კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შესყიდვის პროცესშია (ნაგულისხმევია „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერისათვის“ ტენდერით შესყიდვის დოკუმენტით განსაზღვრული მატერიალური რესურსების ნუსხა, რომლის შესყიდვის შემთხვევაში არსებულ მატერიალური ტექნიკის ბაზას გამოიყენებს „Front-end დეველოპმენტის“ პროგრამისთვისაც შეჭრილი ცხრილების გამოყენებით, რათა არ მოხდეს პროგრამებს შორის გადაფარვა) და რაც გათვალისწინებულია პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, „Front-end დეველოპმენტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული მატერიალური და სასწავლო რესურსები

არის რეალისტურად დაგეგმილი, თუმცა არ არის ხელმისაწვდომი და შეუსაბამოა პროგრამის მიზნებსა და შინაარსთან. 2.2.1.1 სტანდარტი მეტწილ შესაბამისობაშია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - „Front-end დეველოპმენტი“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის უზრუნველყოფილი დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, თუმცა დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ კოლეჯი „ფაზისის“ დირექტორის 23/02/2026 წ. ბრძანება N01/09-ით დამტკიცებული „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“, სადაც აღნიშნული ინდიკატორი მონიშნულია, როგორც მეტწილ შესაბამისობაში და აღმოფხვრის ვადად განსაზღვრულია 6 თვე, რაც ექსპერტებმა რელევანტურად მიიჩნიეს (23.08.2026წ). 2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. კოლეჯი „ფაზისში“ „Front-end დეველოპმენტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის წარმოდგენილია წინასწარ გაფორმებული ხელშეკრულებები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, რაც უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტ და სტაბილურ განხორციელებას. პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს ჰყავს ჯამში 23 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან: · 6 პროფესიული განათლების მასწავლებელი ახორციელებს ზოგად მოდულებს; · 16 პროფესიული განათლების მასწავლებელი ახორციელებს ინტეგრირებულ მოდულებს; · 3 პროფესიული განათლების მასწავლებელი პასუხისმგებელია პროგრამის პროფესიულ მოდულებზე, თუმცა აქედან ორ მასწავლებელს არ უდასტურდება პროფესიული მოდულების სწავლების კომპეტენცია. ასეთი სტრუქტურა უზრუნველყოფს ზოგადი კომპეტენციების განვითარებას, თუმცა ვერ უზრუნველყოფს „Front-end დეველოპმენტის“ სფეროში სპეციფიკური უნარების სრულფასოვან მიწოდებას, რადგანაც დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამი განმახორციელებელი პირიდან და მათთან გასაუბრებით ორს არ უდასტურდება პროგრამით გათვალისწინებული მოდულების სწავლების კომპეტენცია და საჭიროა დაწესებულებამ დარგობრივი მოდულებისათვის განსაზღვროს დამატებით მინიმუმ ერთი კომპეტენციის მქონე პირი. მოდულების მიხედვით კოლეჯს არ ჰყავს მოდულზე მინიმუმ ორი განმახორციელებელი მასწავლებელი, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ერთმანეთს სრულფასოვნად ჩაანაცვლებენ. ეს ვერ ქმნის პროგრამის უწყვეტობის გარანტიას. წარდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ, ყველა განმახორციელებელი მასწავლებლის დატვირთვა არ შეესაბამება „საქართველოს შრომის კოდექსის“ მოთხოვნებს. კვირაში საერთო სამუშაო დატვირთვა დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი პირისათვის აღემატება 40 საათს. განაწილება არ არის ოპტიმალური და ქმნის გადატვირთვის ან პროცესის შეფერხების ალბათობას. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, „Front-end დეველოპმენტი“ პროგრამისათვის წარმოდგენილი განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა და დატვირთვის განაწილება არ არის საკმარისი, რეალისტური და ვერ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრად, უწყვეტ და ხარისხიან განხორციელებას. 2.2.1.2 სტანდარტი მეტწილ შესაბამისობაშია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „Front-end დეველოპმენტი“ განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა ვერ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ კოლეჯი „ფაზისის“ დირექტორის 23/02/2026 წ. ბრძანება N01/09-ით დამტკიცებული „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“, სადაც აღნიშნული ინდიკატორი მონიშნულია, როგორც მეტწილ შესაბამისობაში და აღმოფხვრის ვადად განსაზღვრულია 6 თვე (23.08.2026წ), რაც ექსპერტებმა რელევანტურად მიიჩნიეს. ასევე დაწესებულებამ წარმოადგინა მტკიცებულება ვაკანსიის გამოცხადების შესახებ.

ვიზიტის ფარგლებში პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებულმა გასაუბრება და მათი პირადი საქმეების შესწავლამ დაადასტურა, რომ კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლები სრულად ვერ აკმაყოფილებენ „Front-end დეველოპმენტის“ პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელ კვალიფიკაციასა და პროფესიულ მოთხოვნებს. მასწავლებელთა პირად საქმეებში წარმოდგენილია პროგრამის პროფილის შესაბამისი დოკუმენტაცია, მათ შორის: შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები; „Front-end დეველოპმენტის“ სფეროში სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ცნობები დაუდასტურდა რეავტორიზაციის განაცხადით წარმოდგენილი პროგრამის დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი სამი მასწავლებლიდან მხოლოდ ერთს ; წარმოდგენილი მასალები ადასტურებს, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი სრულად ვერ ფლობს როგორც თეორიული ცოდნის გადაცემის, ისე პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებისთვის აუცილებელ პროფესიულ კომპეტენციებს. გასაუბრებების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელმა მასწავლებლებმა გაიარეს პროფესიული განვითარებისა და გადამზადების კურსები. აღნიშნული გადამზადების კურსები მნიშვნელოვნად აძლიერებს მასწავლებელთა პედაგოგიურ და პროფესიულ კომპეტენციებს და დადებითად აისახება მოდულების სწავლების ხარისხზე. დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლები, პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, აქტიურად არიან ჩართული: მოდულების შემუშავებისა და საჭიროების შემთხვევაში მათი ადაპტირების პროცესში; სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების მომზადებაში; მოდულების განხორციელების მიმდინარეობის მონიტორინგში. აღნიშნული პრაქტიკა მიუთითებს, რომ პროგრამის შინაარსი ეფუძნება კოლეგიურ თანამშრომლობასა და პრაქტიკულ პროფესიულ გამოცდილებას. ყველა პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებელთან გაფორმებულია წინასწარი ხელშეკრულებები, ხოლო მიმდინარე მოდულის განმახორციელებელთან შრომითი ხელშეკრულებები, რომლებშიც მკაფიოდ არის განსაზღვრული სამართლებრივად მოთხოვნილი ძირითადი პირობები, კონკრეტული მოდულები, სამუშაო ფუნქციები, პასუხისმგებლობები და სასწავლო დატვირთვა. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია, პრაქტიკული გამოცდილება, პროფესიული განვითარების ისტორია და სამუშაო დატვირთვის რაციონალური განაწილება სრულად ვერ უზრუნველყოფს „Front-end დეველოპმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხიან, უწყვეტ და მდგრად განხორციელებას. მასწავლებელთა კომპეტენციები დარგობრივი მოდულების განმახორციელებლების შემთხვევაში ვერ უწყობს ხელს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას. 2.2.1.3 ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „Front-end დეველოპმენტი“ წარმოდგენილი დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი სამი მასწავლებლიდან ორ პროფესიული განათლების მასწავლებელს არ აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ კოლეჯი „ფაზისის“ დირექტორის 23/02/2026 წ. ბრძანება N01/09-ით დამტკიცებული „შესაბამისობის უზრუნველოფის გეგმა“, სადაც აღნიშნული ინდიკატორი მონიშნულია, როგორც მეტწილ შესაბამისობაში და აღმოფხვრის ვადად განსაზღვრულია 6 თვე (23.08.2026წ), რაც ექსპერტებმა რელევანტურად მიიჩნიეს.

შეფასების სისტემის გამართული და ეფექტიანი მუშაობა რეგულირდება დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 20 ივნისის N01/152 ბრძანებით (ცვლილება: ბრძ. N01/174 17.12.2025) დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი, ვერიფიკაციის მექანიზმები“. დაწესებულებაში შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ა) ვალიდურობას; ბ) სანდოობას; გ) გამჭვირვალობას; დ) სამართლიანობას; ე) ობიექტურობას. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი,

განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრულია განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა, რაოდენობა და ვადები, ინფორმაცია გამოყენებული ინსტრუმენტის შესახებ. მარეგულირებელი წესი მოიცავს ნამუშევრის გასწორებისა და შეფასების ვადებს. შეფასების სისტემა ეფუძნება სანდოობის, ვალიდურობის, გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. დოკუმენტში ჩარჩენილია საგანმანათლებლო სტანდარტის ნაცვლად „ჩარჩო დოკუმენტი“, რაზეც გაიცა რეკომენდაცია ჩანაცვლების შესახებ. 2.4..2.1 სტანდარტი დამაკმაყოფილებელია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური, თუმცა გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია ტექნიკური უზუსტობების გამოსწორების შესახებ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ადმინისტრაციული სერვისები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ადმინისტრაციული სერვისები“ ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა კოლეჯის მფლობელობაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისები“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი. ვიზუალური დათვალიერებისას, დასტურდება რომ პროგრამით გათვალისწინებული ზოგადი/ინტეგრირებული მოდულებისა და პროფესიული მოდულების სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. დაწესებულებას პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილია დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისები“ მიზნებისათვის A გარემოსთვის გათვალისწინებული აქვს ერთი საერთო სივრცე - თეორიული და პრაქტიკული სწავლებისათვის - 34 კვ.მ ფართი, თითოეულ პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ფართი შეადგენს 2 კვ.მ, მოდულები „დოკუმენტების არქივისთვის მომზადება“ და „საწარმოო პრაქტიკა - ადმინისტრაციული სერვისები“ განხორციელდება როგორც კოლეჯში, ასევე პარტნიორი ორგანიზაციების ბაზაზე, მოდულების სპეციფიკის გათვალისწინებით. ასევე განსაზღვრულია A გარემოები ზოგადი მოდულების განხორციელებისთვის (მაგ. უცხოური ენა და ა. შ). ამასთან, კოლეჯს გააჩნია სრული აღჭურვილობა ინტეგრირებული მოდულების სწავლებისათვის და მოწყობილია შესაბამისი A გარემოები. დაწესებულებაში B სასწავლო გარემოსთვის მოწყობილია ორი კომპიუტერული ლაბორატორია, ჯამში 40 სამუშაო ადგილი 40 პროფესიულ სტუდენტზე. ყოველივე ამის გათვალისწინებით, „ადმინისტრაციული სერვისები“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის გამოყოფილი სივრცის რესურსი შეადგენს 15 პროფესიულ სტუდენტს მოდულური მიდგომით განხორციელებისათვის და 15 პროფესიულ სტუდენტს ინტეგრირებული მიდგომით განხორციელებისათვის. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

შეფასების სისტემის გამართული და ეფექტიანი მუშაობა რეგულირდება დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 20 ივნისის N01/152 ბრძანებით (ცვლილება: ბრძ. N01/174 17.12.2025) დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი, ვერიფიკაციის მექანიზმები“. დაწესებულებაში შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ა) ვალიდურობას; ბ) სანდოობას; გ) გამჭვირვალობას; დ) სამართლიანობას; ე) ობიექტურობას. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, ინსტრუმენტების შიდა

მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრულია განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა, რაოდენობა და ვადები, ინფორმაცია გამოყენებული ინსტრუმენტის შესახებ. მარეგულირებელი წესი მოიცავს ნამუშევრის გასწორებისა და შეფასების ვადებს. შეფასების სისტემა ეფუძნება სანდოობის, ვალიდურობის, გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. დოკუმენტში ჩარჩენილია საგანმანათლებლო სტანდარტის ნაცვლად „ჩარჩო დოკუმენტი“, რაზეც გაიცა რეკომენდაცია ჩანაცვლების შესახებ. 2.4..2.1 ინდიკატორი დამაკმაყოფილებელია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური, თუმცა გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია ტექნიკური უზუსტობების გამოსწორების შესახებ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ტვირთების ექსპედირება

კოლეჯი “ფაზისში” „ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება კოლეჯის შესაბამის სასწავლო სივრცეებში, სადაც უზრუნველყოფილია პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი მატერიალური და საგანმანათლებლო გარემო. სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნება პროგრამის შინაარსს, პრაქტიკული კომპონენტების მოცულობასა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას. პროგრამას თან ერთვის სავალდებულო მატერიალური რესურსების დეტალური ჩამონათვალი, რომელიც წარმოადგენს პროგრამის დანართს და მოიცავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო რესურსებს. აღნიშნული ჩამონათვალი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების სრულფასოვან განხორციელებას. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა დაწესებულებისა და პარტნიორი კომპანიის მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ადეკვატურია.

კოლეჯი “ფაზისში” „ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის წარმოდგენილია წინასწარ გაფორმებული ხელშეკრულებები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, რაც უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტ და სტაბილურ განხორციელებას. პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს ჰყავს ჯამში 24 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან: · 10 პროფესიული განათლების მასწავლებელი ახორციელებს ზოგად მოდულებს; · 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი ახორციელებს ინტეგრირებულ მოდულებს; · 4 პროფესიული განათლების მასწავლებელი პასუხისმგებელია პროგრამის პროფესიულ მოდულებზე. ასეთი სტრუქტურა პროგრამის შინაარსობრივ მრავალფეროვნებას აერთიანებს და უზრუნველყოფს როგორც ზოგადი კომპეტენციების, ისე ლოგისტიკის სფეროში სპეციფიკური უნარების სრულფასოვან მიწოდებას. მოდულების მიხედვით კოლეჯს ჰყავს მოდულზე მინიმუმ ორი განმახორციელებელი მასწავლებელი, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ერთმანეთს სრულფასოვნად ჩაანაცვლებენ. ეს ქმნის პროგრამის უწყვეტობის გარანტიას. წარდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ, ყველა განმახორციელებელი მასწავლებლის დატვირთვა შეესაბამება „საქართველოს შრომის კოდექსის“ მოთხოვნებს. კვირაში საერთო სამუშაო დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. განაწილება ოპტიმალურია და არ ქმნის გადატვირთვის ან პროცესის შეფერხების ალბათობას. პროგრამას დამატებული აქვს განმახორციელებელი პერსონალის სია, რაც უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობას და პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილებას. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, „ტვირთების ექსპედირების“

პროგრამისათვის წარმოდგენილი განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა და დატვირთვის განაწილება საკმარისია, რეალისტურია და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრად, უწყვეტ და ხარისხიან განხორციელებას.

შეფასების სისტემის გამართული და ეფექტიანი მუშაობა რეგულირდება დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 20 ივნისის N01/152 ბრძანებით (ცვლილება: ბრძ. N01/174 17.12.2025) დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი, ვერიფიკაციის მექანიზმები“. დაწესებულებაში შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ა) ვალიდურობას; ბ) სანდოობას; გ) გამჭვირვალობას; დ) სამართლიანობას; ე) ობიექტურობას. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრულია განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა, რაოდენობა და ვადები, ინფორმაცია გამოყენებული ინსტრუმენტის შესახებ. მარეგულირებელი წესი მოიცავს ნამუშევრის გასწორებისა და შეფასების ვადებს. შეფასების სისტემა ეფუძნება სანდოობის, ვალიდურობის, გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. დოკუმენტში ჩარჩენილია საგანმანათლებლო სტანდარტის ნაცვლად „ჩარჩო დოკუმენტი“, რაზეც გაიცა რეკომენდაცია ჩანაცვლების შესახებ. 2.4..2.1 ინდიკატორი დამაკმაყოფილებელია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური, თუმცა გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია ტექნიკური უზუსტობების გამოსწორების შესახებ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - შედეგება

კოლეჯ ფაზისში “შედეგების” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამის სასწავლო სივრცეებში, საგანმანათლებლო გარემოში. სადაც მეტწილად უზრუნველყოფილია პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი მატერიალური და საგანმანათლებლო გარემო. სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნება პროგრამის შინაარსს, პრაქტიკული კომპონენტების მოცულობასა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას. პროგრამას თან ერთვის სავალდებულო მატერიალური რესურსების დეტალური ჩამონათვალი, რომელიც წარმოადგენს პროგრამის დანართს და მოიცავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო რესურსებს. აღნიშნული ჩამონათვალი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების სრულფასოვან განხორციელებას. კოლეჯში პროგრამისთვის გამოყოფილია კეთილმოწყობილი და ტექნიკურად გამართული A და B ტიპის სასწავლო გარემოები, რომლებიც გამოიყენება თეორიული მეცადინეობებისა და კომპიუტერზე დაფუძნებული სასწავლო აქტივობების ჩასატარებლად. აღნიშნული სივრცეები აღჭურვილია პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისი სამუშაო მაგიდებითა და სკამებით, პერსონალური კომპიუტერებით, უწყვეტი ინტერნეტითა და პროგრამის შინაარსთან დაკავშირებული შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით. ასევე უზრუნველყოფილია პრეზენტაციისთვის საჭირო ტექნიკური საშუალებები (პროექტორი, ეკრანი, პრეზენტაციის დაფა), ასლგადამდები მოწყობილობები და სხვა დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები, რაც ხელს უწყობს სასწავლო მასალის ეფექტიან მიწოდებასა და ვიზუალურ აღქმას. პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების მიზნით კოლეჯში კომპონენტების განხორციელების მიზნით ორგანიზებულია C ტიპის სასწავლო გარემო, რომელიც მორგებულია შედეგების საქმიანობის სპეციფიკაზე. აღნიშნული გარემო უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ პრაქტიკული უნარების მეტწილად

გამომუშავებას, პრაქტიკული სწავლების სივრცე გათვლილია პროგრამის ზღვრულ რაოდენობაზე და შეესაბამება პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებს, თუმცა არჩევითი მოდულისთვის „ლითონების აირალური შედუღება-ჭრა და პლაზმური ჭრა“ არ იყო მოწყობილი შესაბამისი სასწავლო გარემო. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრულია, რომ დაწესებულება შეიძენს საჭირო მატერიალურ რესურსს. შესყიდვის პროცესის ვადად განისაზღვრული იყო 6 თვე. პროცესის დასრულების ვადად დადგინდა 2026 წლის 1 მარტი. თუმცა დაწესებულებამ ვიზიტის დროს დაგვახვედრა პროგრამისთვის საჭირო ყველა აღჭურვილობა შეძენილი, თუმცა აღჭურვილობა არ იყო დამონტაჟებული C გარემოში. დაწესებულებას აღნიშნული სტანდარტი შეფასებული აქვს - „მეტწილად შესაბამისად“. ექსპერტთა მხრიდან სტანდარტი ასევე შეფასდა - „მეტწილად შესაბამისად“. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, “შედუღების” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული მატერიალური და სასწავლო რესურსები არის რეალისტურად დაგეგმილი, მეტწილად ხელმისაწვდომი და მეტწილ შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებსა და შინაარსთან. ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.2.1.1. მეტწილ შესაბამისობაშია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არაა უზრუნველყოფილი დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენტაცია რომ შესაბამისობის გეგმის შესაბამისად 01.03..2025 წ. უზრუნველყოს სასწავლო გარემოს მოწყობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ბუღალტრული აღრიცხვა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ბუღალტრული აღრიცხვა“ ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე ქ. ფოთში. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა კოლეჯის მფლობელობაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი. ვიზუალური დათვალიერებისას, დასტურდება რომ პროგრამით გათვალისწინებული ზოგადი მოდულებისა და პროფესიული მოდულების სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. დაწესებულებაში პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილია A /B გარემო, ერთჯერადი განთავსებით 20 პროფესიული სტუდენტისთვის; სასწავლო გარემო აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა (კომბაინები, პროექტორები, კომპიუტერები) და ყველა საჭირო რესურსით. აუდიტორიების რაოდენობისა და გამტარუნარიანობის გათვალისწინებით, დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა ორ ცვლაში მიიღოს 40 პროფესიული სტუდენტი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ განხორციელების უზრუნველსაყოფად, კოლეჯს განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი, ისე პროფესიული მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა და აკადემიური დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტ და მდგრად განხორციელებას. კოლეჯში მიერ ვიზიტის ფარგლებში „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განმახორციელებელი პირების დანართში განხორციელდა ცვლილება, რის საფუძველზეც პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 13 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 11 მასწავლებელი კითხულობს როგორც პროფესიულ, ასევე ზოგად მოდულს. პროგრამის სტრუქტურა და სასწავლო დატვირთვის განაწილება უზრუნველყოფს მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის ოპტიმალურ ბალანსს, რაც იძლევა პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და მათი დატვირთვა სრულად აკმაყოფილებს პროგრამის განხორციელების მდგრადობის მოთხოვნებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა არსებული პრაქტიკის კომპლექსური შეფასება. დაწესებულების ადმინისტრაციასთან და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების, ასევე წარმოდგენილი დოკუმენტაციის (პერსონალის რაოდენობა, შრომითი ხელშეკრულებები, მასწავლებელთა დატვირთვის სქემები) ანალიზის საფუძველზე, დასტურდება, რომ პროგრამის განხორციელების მდგრადობის კომპონენტი სრულად არის დაცული. პერსონალის ინდივიდუალური და კვირეული დატვირთვა ოპტიმალურია და შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს. პროფესიული განათლების მასწავლებელთა აკადემიური დატვირთვა შეესაბამება „საქართველოს შრომის კოდექსის“ მოთხოვნებს და არ აღემატება კვირაში 40 საათს. წარმოდგენილი მასალების მიხედვით, ასევე დადასტურდა, რომ ყველა პროფესიულ მოდულზე დაწესებულებას ჰყავს არანაკლებ ორი განმახორციელებელი პერსონალი, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ელექტრობა (ქ. ფოთი, ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნოჯიხევი)

კოლეჯი “ფაზისში” „ელექტრობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება კოლეჯის შესაბამის სასწავლო სივრცეებში, სადაც უზრუნველყოფილია პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი მატერიალური და საგანმანათლებლო გარემო. სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნება პროგრამის შინაარსს, პრაქტიკული კომპონენტების მოცულობასა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას. პროგრამას თან ერთვის სავალდებულო მატერიალური რესურსების დეტალური ჩამონათვალი, რომელიც წარმოადგენს პროგრამის დანართს და მოიცავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო რესურსებს. აღნიშნული ჩამონათვალი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების სრულფასოვან განხორციელებას. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა დაწესებულებისა და პარტნიორი კომპანიის მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ადეკვატურია.

კოლეჯი “ფაზისში” „ელექტრობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის წარმოდგენილია წინასწარ გაფორმებული ხელშეკრულებები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, რაც უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტ და სტაბილურ განხორციელებას. ვიზიტის ფარგლებში პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებულმა გასაუბრებამ და მათი პირადი საქმეების შესწავლამ დაადასტურა, რომ კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლები სრულად აკმაყოფილებენ „ელექტრობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელ კვალიფიკაციასა და პროფესიულ მოთხოვნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, ყურადღება გაამახვილა მატერიალური რესურსების შესყიდვის დაგვიანებაზე. მან აღნიშნა, რომ მიუხედავად თვითშეფასების ანგარიშში დაფიქსირებული ხარვეზებისა, დაწესებულებამ რეაგირება (ტენდერების გამოცხადება და ექსპერტიზის ბიუროსთვის მიმართვა) მხოლოდ ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ პერიოდში დაიწყო. თავმჯდომარემ განსაკუთრებული შეშფოთება გამოთქვა 5.1.2.1 ინდიკატორთან

(სახანძრო უსაფრთხოება და შენობის მდგრადობა) დაკავშირებით და დასვა კითხვა სასწავლო პროცესის უსაფრთხოებაზე იმ პირობებში, როდესაც დადებითი დასკვნები ჯერჯერობით არ არსებობს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ რესურსების შესყიდვის გაჭიანურება გამოწვეული იყო სახელმწიფო შესყიდვების სპეციფიკითა და ჩაშლილი ტენდერებით. ამჟამად რესურსების 70% უკვე მობილიზებულია. უსაფრთხოების ნაწილში აღნიშნა, რომ ხობის ლოკაციაზე სახანძრო უსაფრთხოების 13 მოთხოვნიდან 12 შესრულებულია. პრობლემას წარმოადგენს წყლის წნევა ჰიდრანტებში, რაც მუნიციპალური მილების გაუმართაობითაა განპირობებული. პრობლემა უახლოეს პერიოდში მოგვარდება წყალკანალთან კოორდინაციით. ფოთის ლოკაციაზე ახლადამენებული სამი სახელოსნოს ჩაბარება 2025 წლის დეკემბერში მოხდა, რის გამოც მდგრადობისა და 112-ის დასკვნების მოპოვება მიმდინარე რეჟიმშია.

დაწესებულების წარმომადგენელმა სრული პასუხისმგებლობა აიღო სასწავლო გარემოს უსაფრთხოებაზე და აღნიშნა, რომ კოლეჯს გააჩნია საკუთარი შიდა სახანძრო სისტემა და რეზერვუარები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯი ფაზისის ავტორიზაციის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, სსიპ კოლეჯ ფაზისს(ს/კ: 215101716) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი. სსიპ კოლეჯ ფაზისსმიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 4). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 4 მარტი.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს ვიზიტით მონიტორინგი სსიპ კოლეჯ „ფაზისში“ რამდენიმე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. კერძოდ, პროგრამებზე „Front-end დეველოპმენტი“ „შედულება“, „ამწის ოპერირება“, „კონდიტერია“, „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ და „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, მონიტორინგი განხორციელდება 2.2. კომპონენტის შესამოწმებლად. ყველა ზემოაღნიშნულ პროგრამაზე მონიტორინგის განხორციელების ვადად განისაზღვროს 2026 წლის 1 სექტემბერი.

ამასთანავე, საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი 5.1. კომპონენტთან მიმართებით, რაც მოიცავს ხობისა და ფოთის ლოკაციებზე შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოებისა და მდგრადობის საკითხებს. აღნიშნული კომპონენტისთვის მონიტორინგის ვადად განისაზღვროს 2027 წლის 23 აგვისტო. დაწესებულებას დაევალოს, რომ

მითითებულ ვადაში უზრუნველყოს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული დადებითი დასკვნების წარმოდგენა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დოკუმენტაციის გამოთხოვა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 13:50 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
ჩხარტიშვილი ხათუნა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია



პროგრამის სახელწოდება	Front-end დეველოპმენტი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია Front-end დეველოპმენტში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი No38
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	500
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით <i>(არსებობის შემთხვევაში)</i>	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90

პროგრამის სახელწოდება	გრაფიკული დიზაინი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია გრაფიკულ დიზაინში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0211
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი No38
